140
1966/2.

11
1966

# პიონერი





ეს რა ფერები აბრწყინდა,
ეს რა გუგუნი გაისმის?!—
ახალგაზრდობა ზოზოქრობს
ჩვენი სიცოცხლის გაისი!

შრომაა?—ახალგაზრდობა
პირველ რიგებში გრიალებს!
ბრძოლაა?—ახალგაზრდობა
შუაგულ ცეცხლში ტრიალებს!

სწავლაში, გინდა შრომაში—
გმირობას იჩენს გასაკვირს,
ის არი საუკუნეთა
ულამაზესი ასაკი.

მისებრ დიადი მიზანი
არვის ჰქონია აროდეს,
იგია ხალხის იმედი,
დე, ხალხიც მისით ხარობდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ატამანი




**როდიონ ქორქია**

ლენინს ძალიან უყვარდა ხალხური სიმღერები. განსაკუთრებით უყვარდა სიმღერა „ატამანი“. სიმღერა აგებულია ხალხურ ლექსზე.

ლექსის პირველ სტროფში ნათქვამია, რომ უღრან ტყიდან გამოდიან მეამბოხეები. მათ დაჭრილი ამხანაგი მოჰყავთ საკაცით. ეს ამხანაგი — ატამანია. მეფისდროინდელ რუსეთში ატამანს ხალხის ბელადს, შახალხო ბრძოლის მეთაურს ეძახდნენ. ასეთი ატამანები ებრძოდნენ მეფეს და მემამულეებს, იცავდნენ მშრომელ ხალხს ძალადობისაგან.

ჰოდა, ლექსში ნათქვამია, რომ დაჭრილი ატამანი უბრალო საკაცეზე როდი იწვა. საკაცე თოფებისაგან იყო გაწყობილი და გარდიგარდმო ფოლადის ხმლები ელაგა ზედ. სიმღერის სტროფებს აქვს მისამღერი:

აიშალნენ ღრუბლები,
დაიჩრდილა მდელო.
გვითხარი, რამ ჩაგაფიქრა,
ატამანო ჩვენო?..

1917 წელს ლენინი და 32 ემიგრანტი შვეიცარიიდან რუსეთს ბრუნდებოდნენ. ყველას უხაროდა, რომ სამშობლოში მოდიოდნენ. უხაროდა ლენინსაც, ოღონდ ხშირად ჩაფიქრდებოდა და მოიღრუბლებოდა ხოლმე. აფიქრებდა, როგორი შეხვედრა ელოდა პეტროგრადში — დააპატიმრებდა თუ არა მას დროებითი მთავრობა? ლენინი ხომ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგი იყო, დროებითი მთავრობა კი სწორედ ამ იმპერიალისტურ ომს აგრძელებდა. ხალხის სისხლი კაპიტალისტების სასარგებლოდ იღვრებოდა. ლენინი მტკიცედ გამომუშავებული პროგრამით მოდიოდა: შეწყდეს ომი და ძალა-უფლება გადაეცეს მშრომელ ხალხს...

ერთხელ, როცა ლენინი ძალზე ჩაფიქრდა და კუპეში განმარტოვდა, ემიგრანტები მიადგნენ ლენინის კუპეს და მისი საყვარელი „ატამანი“ შემოსძახეს. როცა სიმღერა რეფრენზე გადავიდა, აუწიეს ხმას, განგებ აუწიეს:

აიშალნენ ღრუბლები,
დაიჩრდილა მდელო,
გვითხარი, რამ ჩაგაფიქრა,
ატამანო ჩვენო?..

ლენინი გამოერკვა ფიქრებიდან, ასწია თავი, შეხედა ამხანაგებს. ამხანაგებმა კი დააგუგუნეს:

გვითხარი, რამ ჩაგაფიქრა
ატამანო ჩვენო?..

ლენინმა გულიანად გადაიხარხარა და ჩაება სიმღერაში.

განა მარტო მიმღერება იყო ეს სიტყვები?

ყველამ იცოდა, რომ მეორე რევოლუციის ატამანი — ბელადი სწორედ ლენინი იქნებოდა!..



# დედა

ლენინს განსაკუთრებულად უყვარდა დედა. ხშირად სწერდა წერილებს. ყველა მისი წერილი ასე იწყება: „ძვირფასო დედიკო!..“ ყველა მისი წერილი ასე თავდება: „მაგრად გეხვევი, ჩემო ძვირფასო დედიკო, და გაკოცებ...“

ლენინს ძალიან უნდოდა, დედას მასთან ეცხოვრა, მაგრამ დედას ეს არ შეეძლო. ლენინის ყველა და-ძმანი რევოლუციონერები იყვნენ და ხან ერთი იჯდა ციხეში, ხან მეორე. დედა ყოველთვის ციხის კარებთან იდგა და შველოდა შვილებს. ამიტომ დედა ვერ ასრულებდა ლენინის თხოვნას. ლენინიც ვერ აძალებდა, რადგან იცოდა — დედა რუსეთში იყო საჭირო...

დედამ მხოლოდ ორჯერ შესძლო ლენინის ნახვა ევროპაში. ერთხელ **1902** წელს, საფრანგეთში, და ისიც ერთი თვით, მეორეჯერ კი შვეციაში.

დედა და შვილი ერთმანეთს შეხვდნენ შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში. აქ ცოტა ხანს იცხოვრა დედამ. დაბრუნებისას ლენინმა დედა ნავსადგურამდე გააცილა და ნაპირზე გამოეთხოვა, გემზე ასვლა კი არ შეეძლო: გემი რუსეთისა იყო და, მეფის კანონით, ლენინს გემზე დააპატიმრებდნენ.

დიდხანს ეთხოვებოდა ლენინი დედას. ხოლო დედა რომ გემზე ავიდა, ილიჩი დიდხანს და სევდიანად უყურებდა მას. ამ სევდაში დიდი სიამაყეც იყო. ლენინის დედას უფროსი შვილი ჩამოუხრჩვეს, ერთი ადრე მოუკვდა. დანარჩენი შვილები, რომ წამოიზარდნენ, სულ გადასახლებაში ან ციხეში იყვნენ. მაგრამ დედა არ დაცემულა სულით. არც არასოდეს უსაყვედურებია შვილებისათვის, თუ რატომ აირჩიეს რევოლუციური გზა... ჭკვიანი ქალი იყო დედა და იცოდა, რომ მისი შვილები სამართლიანი ცხოვრებისთვის იბრძოდნენ...

ახლაც, შვილს რომ შორდებოდა დედამ იცოდა, ბრძოლის ველზე ტოვებდა მას.

იყო **1910** წელი. ჯერ კიდევ მაგრად იჯდა მეფე ტახტზე. ჯერ კიდევ შორს იყო რევოლუცია. ჯერ კიდევ ხიშტი და მათრახი განაგებდა ქვეყანას. მაგრამ სჯეროდა ლენინს გამარჯვებისა, სჯეროდა დედასაც შვილის გამარჯვებისა, და ეს ეამაყებოდა ლენინს...

მაგრამ როდის იქნება ეს გამარჯვება?..

დედა სამოცდათხუთმეტი წლისაა. მოესწრება კი იმ ბედნიერ დღეს, რომ შვილებთან ერთად თავისუფლად იცხოვროს თავის ქვეყანაში? რომ არ ეშინოდეს შვილთან განშორებისა?

აი შორდება ახლა შვილს და, ვინ იცის, ნახავს კიდევ?..

სამოცდათხუთმეტი წელი მძიმედ დასწოლია მხრებს...

და ამ მტკიცე ხასიათის ქალს, ამ რკინის ქალს, ცრემლები მოერია. დგას გემბანზე, უყურებს შვილს, ცდილობს გაუცინოს, უნდა ერთხელ კიდევ გაამხნევოს თავისი ღიმილით, დედის ღიმილით... იცის, რომ დიდი ძალაა დედის ღიმილი... მაგრამ რატომ წამოუვიდა ცრემლები? ეგებ იმიტომ, რომ ეს ორმოცი წლის კაცი ისევ პატარა ვალოდიად წარმოიდგინა?.. დედისთვის ხომ შვილი მუდამ პატარაა.. ან, ეგებ გულიეუბნება დედას, რომ უკანასკნელად ხედავს შვილს?..

ჰო, გული... დედის გული...

მართლაც გრძნობდა დედის გული, რომ ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა.

დედა გარდაიცვალა 1916 წლის ივლისში...

ვერ დაიტირა ლენინმა თავისი დედა... ძვირფასი დედა..

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარლამ თოფურიას სახელობის სოფელში



სკოლის პლანეტარიუმი

ორსართულიანი შენობის წინ, ცოცხალი ღობის მიღმა, საშემოდგომო ყვავილები ყვავილობდნენ. მარჯვნივ გეოგრაფიულ-ასტრონომიული მოედანი იწყებოდა. ერთგან, ქვის კვარცხლბეკზე, თითქოს გაშლილი ფრთის თარგი აუჭრიათო, შვეულად ემაგრა ლითონის ფირფიტა, რომელსაც წვეტი შორეული პოლარული ვარსკვლავისათვის მიეშვირა. საათის დანაყოფები ამაოდ ელოდნენ ჩრდილის ისარს. ღრუბლიანი დილა იდგა, მზის საათს ძალა დაჰკარგვოდა, უილაჯოდ დამდგარიყო.

მახლობლად, მეორე კვარცხლბეკზე ისე დაედგათ გეოსფერო, რომ მზიან დარში, ჩრდილისა და სინათლის განაწილებისას, ზუსტად ეჩვენებინა პოლარული დღეები და ღამეები, მზის სიმაღლე, მისი მდებარეობა ჩრდილო თუ სამხრეთ ნახევარსფეროებში. მზის საათისაგან განსხვავებით, რომელიც მარტო ადგილობრივ დროზე მიუთითებდა, გეოსფეროზე, მერიდიანებისა და ეკვატორების გადაჭრის წერტილების მიხედვით და საგანგებო ხელსაწყოს დახმარებით, მოსწავლეებს თავისუფლად შეეძლოთ დედამიწის ნებისმიერი ადგილის დრო განესაზღვრათ.

პატარა, მრგვალი ქვის მაგიდის გვერდით, რომელიც ხელსაწყოების დასადგმელად იყო გათვალისწინებული, ქარის გასაზომი ფსიქრომეტრული ბუდრუგანა აღემართათ. ონტოფოელი ნორჩი მეტეოროლოგები ამინდს აკვირდებოდნენ და, დაკვირვებათა მიხედვით დიაგრამებს ადგენდნენ.

ცოტა უკან დედამიწის რელიეფის ნაირნაირობა წარმოედგინათ თვალსაჩინოდ. მოედნის კიდესთან სამშენებლო მასალები მოეზიდათ და ახალი შენობის საძირკველს ადუღაბებდნენ.

მშენებლობის გვერდით სპორტული მოედანი მოეწყოთ. აქ, საკავშირო პიონერულ რადიოხაზზე, ოლეგ კოშევოის სახელობის პიონერული რაზმეულის ოთხივე რაზმი, მოთხოვნების მიხედვით, გარკვეულ ვალდებულებებს იღებდა.

როცა იმ ადგილას მივიდნენ, სადაც ეწერა: „მოვაწყობთ შეხვედრებს სოფლის მოწინავე ადამიანებთან", უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლილი კაჭარავამ ამ პუნქტს ასეთი ზეპირი განმარტებაც დაურთო: „მოვიპატიჟებთ ძველ ბოლშევიკებს, სამამულო ომის მონაწილეებს, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს".

დასახელებით არავინ დაუსახელებია, მაგრამ მათი უმრავლესობა პიონერებისათვის ისედაც ცნობილი იყო. პირველ რიგში კი, არ შეიძლება ის კაცი არ გახსენებოდათ, რომელიც მათი პიონერული ხაზის წინ წამოწყებული მშენებლობის მოთავე გახლდათ.

ეს კაცი — პროფესორი ვარლამ თოფურია იყო.

მართალია, პროფესორს მშობლიური სოფელი რვა-ცხრა წლის აქეთ არ მოენახულებინა და, მიტომ, პიონერთაგან თითქმის არავის ენახა იგი პირადად, სამაგიეროდ, ღვაწლით იცნობდნენ მას. ყოველ ახალ წელს სკოლა, მისი დირექტორი მიხეილ ნადარეიშვილი და პედაგოგები მეცნიერის გულითად მოლოცვებს ღებულობდნენ. მაგრამ ეს მეგობრობა მარტოოდენ კეთილი მოკითხვებით როდი მთავრდებოდა; ვარლამ თოფურია ხშირად უგზავნიდა ბარათებს სკოლის ხელმძღვანელობას, ეკითხებოდა, როგორ მიდიოდა სოფლის საქმეები, რა მდგომარეობაში იყო კლუბის მშენებლობა, ხომ არ გჭირდებათ ჩემი დახმარება რაიმეშიო. სთხოვდა, გამომიყენეთ, თუ ეს საჭიროაო. სკოლაში მოწიწებით ინახავენ ანემომეტრს — ქარის ძალის გასაზომ ხელსაწყოს, რომელიც სახელგანთქმულმა მკვლევარმა აჩუქა ონტოფოელ მოსწავლეებს. ბოლო დროს მეცნიერი სკოლის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზეც ზრუნავდა.

ონტოფოელმა მოსწავლეებმა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიყვარეს ვარლამ თოფურია, რაც შეიტყვეს, რომ მისი თაოსნობით გადაწყდა მათი სკოლისათვის პლანეტარიუმის აშენება.

ამიტომ, გასაკვირი არაა, თუ პლანეტარიუმის მშენებლობის გვერდით საკავშირო რადიოხაზზე გამწკრივებულ პიონერებს, გამოჩენილ ადამიანთა შორის პირველ ყოვლისა თვალწინ ვარლამ თოფურიას კეთილშობილი სახე წარმოსდგომოდათ, სახე, რომელიც იმ სურათის წყალობით დაეხსომებინათ, ლავრენტი მასწავ-



თენგიზ გეგელია და ფრიდონ ფანცულაია
რთმანეთს ეცილებიან პირველობას ჭადრაკში.

ლებელს წიგნების კარადაში სიყვარულით რომ გამოეკიდნა.

— პატივცემულ ვარლამს თუ მოვიწვევთ, ხელმძღვანელო? — უფრო გულის დასაჯერებლად იკითხა ბექანმა — ვარლამის მოგვარემ.

— ცხადია, — მიუგო პიონერხელმძღვანელმა, — ალბათ, მომავალი წლის სექტემბერში, როცა პლანეტარიუმს გავხსნით.

რაზმეულმა კარგად დაიხსომა ეს დრო.

* * *

სტარტის აღების შემდეგ განსაკუთრებით გამამაცდნენ. იმთავითვე კარგად სწავლის თადარიგი დაიჭირეს; იცოდნენ, უამისოდ გამარჯვებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მეოთხე მეოთხედის ბოლოს მხოლოდ ერთი ოროსანი შემორჩათ.

...ცხრამეტ მაისს, პიონერული ორგანიზაციის ზეიმის დღეს, მათ ბევრი სათხრობი დაჰგროვებოდათ და პატაკიც საკმაოდ გრძელი გამოუვიდათ.

ახალი მასალებით შეევსოთ ლენინის კუთხე. ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფოტოსტენდთან პატარა, ლენინური ბიბლიოთეკა მოეწყოთ. გასცნობოდნენ გმირ კომკავშირელთა ცხოვრებას.

ბუნების ნორჩ მეგობართა საგუშაგოს ტყისათვის, რომელიც თვითონვე გააშენეს, ახალი ფართობი მიემატებინათ, შეეგროვებინათ ჯართი; მოეკრიფათ ჩაი, აეღოთ სიმინდის მოსავალი...

მრავალი ლიტერატურული დილა და საღამო, მრავალი შეხვედრა ირიცხებოდა რაზმეულის ანგარიშზე. პიონერთა ოთახში გამოფენას დღემდე შემორჩა ნაქარგებისა და ნაძერწების კონკურსში გამარჯვებულთა ნამუშევრები. სხვა კონკურსებიც ჩაეტარებინათ: ნორჩ მხატვართა, დეკლამატორთა; შეედგინათ ალბომი ცნობილი მხატვრების ნაწარმოებთა ფოტორეპროდუქციებით, ჩვევად გახადათ კინოფილმებზე კოლექტიური დასწრება.

რაზმეულში დიდი ხალისით მოეწყოთ მეგობრობისა და სხვადასხვა ფერის ყელსახვევთა კუთხე. ალენიშნათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და კუბის პიონერთა ორგანიზაციების დაარსების თარიღები.

ნორჩი მეტეოროლოგები კომკავშირელ ეთერ დავითაიას ხელმძღვანელობით სწავლობენ, როგორ გაზომონ ქარის ძალა.

ახლაც ამშვენებს ნორჩ ლენინელთა ოთახს საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილების ფოტოსტენდი. აქ არის ლაშქრობების დროს გადაღებული სურათებიც.

ჩაატარეს საინტერესო შეჯიბრებები შაშში, ჭადრაკში, ფრენბურთში, კალათბურთში, მოამზადეს ახალი სიმღერები.

პატარებთან მუშაობითაც შეეძლოთ თავი მოეწონებინათ. შეასწავლეს მოძრავი თამაშობები, უკითხეს წიგნები, ხოლო სათანადო ასაკისანი პიონერთა ორგანიზაციის რიგებში შესასვლელად მოამზადეს...

ასეთი გახლდათ 19 მაისს ოლეგ კოშევოის სახელობის რაზმეულის საზეიმო პატაკი, რომელიც უკვე სახურავამდე აყვანილ პლანეტარიუმთან წარმოითქვა.

წინ იყო გამოცდები, შემდგომ კი — არდადეგების თვეები.

და მაშინ არავის არ შეეძლო სცოდნოდა, რომ სკოლის ამ იშვიათ საჩუქარს — კეთილმოწყობილ პლანეტარიუმს — ვერასოდეს ნახავდა ის ადამიანი, რომლის ინიციატივითაც აშენდა იგი.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. მწვანე ალვებს შორის თეთრად



გამოანათა პლანეტარიუმის ქათქათა პროფილმა. ყველა ხელსაწყო ადგილზე მიეტანათ, მხოლოდ ზოგიერთი სადგარი დარჩენოდათ გასამართავი და მათაც იქვე, სკოლის სახელოსნოში, ამზადებდნენ.

რთველისათვის ემზადებოდა სოფელი.

პლანეტარიუმის საზეიმოდ გასახსნელად ემზადებოდა სკოლა.

ისედაც სიტყვაძუნწი მასწავლებელი ლავრენტი პერტანავა მთლად პირმოკუმული დადიოდა. რამდენადაც სასიხარულო იყო ნანატრის ახდენა, იმდენად მძიმე გახდა უფროსი მეგობრისა და პლანეტარიუმის გულშემატკივრის დაკარგვა.

ლავრენტის ოჯახი თოფურიების სახლში ცხოვრობდა, რომელიც დიდიხანია მასწავლებლების კუთვნილება გამხდარიყო. და, რადგან ონტოფოში ლავრენტის გარდა სხვასოფლელი არავინ ასწავლიდა, ვარლამის კარ-მიდამო მთლიანად მის მფლობელობაში გადასულიყო.

აწ ველარ გაუგზავნიდა საყვარელ ადამიანს ხილეულის ამანათს, ველარ გაახარებდა მისთვის ესოდენ ძვირფასი ძღვენით, რის გამოც არაერთი ნაღვლიანი მადლობა მიუღია: „მე არ ვიცი, რით შევძლებ ამის ანაზღაურებას, მაგრამ ხომ არის ხშირად ვალი, რომელსაც ვერ გადაიხდის ადამიანი. დაე, იყოს ეს წმინდა ვალი ჩემზე და ჩემს შვილებზე...“

ამ წლევანდელ გაზაფხულზე ვარლამისეული გამხმარი კაკალი მოჭრა. მთელი ზაფხული მუშაობდა რუსთაველის პორტრეტზე, საიუბილეოდ დაამთავრა და მოწონებაც დაიმსახურა კაკლის გულისაგან გამოყვანილმა მისმა ნახელავმა.

ოცნებად ახლა ის ქცეოდა, რომ მისეულ სახლის ერთ-ერთ ოთახში სახელოვანი მკვლევარის მუზეუმი მოეწყოთ. ასე განიზრახეს თანასოფლელებმა.

თეთრი მარმარილო იშოვნა, — ვარლამის სახეს გამოვკვეთ, როგორც შევძლებო.

მაგრამ ვიდრე ამ საქმეებს თავი მოებმოდა, სასიხარულო ცნობა მოვიდა: აბაშის რაიონის ონტოფოს საშუალო სკოლას ამიერიდან ვარლამ თოფურიას სახელი ენიჭებოდა.

**ეთერ სახვაძე.**

ფოტო ბ. ბაიშევისა.

# ლექსები სამშობლოზე

**დილარ ივარდავა**

## მიწაო დედა-ქართლისა

ეს მიწა ჩემი მიწაა,
მამა-პაპათა მიწაა,
ამ მიწამ ისე მიწამა,
რომ ელავს თრთოლვა იმ წამთა,
რომელ დღიდანაც შევიგრძენ
უძლეველობა ამ მიწის, —
ჩემო იმედო,
ჩემო მზევ,
შენს სიყვარულში დავიწვი.
მაოცებს შენი მძლე ხმები,
მაკვირვებს შენი სიწყნარე,
შენს თბილ მკერდს კრძალვით ვეხები,
რომ მარად დავრჩე სიმწვანედ.
მიწაო, ზღაპრად და მითად
შენი სახელი განივრცო,
მე მინდა ახლა ავინთო
და შენი ხმებით ავივსო.
დიდება დედა-ქართლისა
მუდამ საქვეყნოდ ისმოდა!..
მზეო, უქრობი ნათლისა,
ხარ ჩვენი მარადისობა!

## მცხეთა

ყოველ აფრენას სჭირდება ფრთები,
ყოველ ხეს—მიწა, მარად ხმიერი;
მდინარეს კვებავს მაღალი მთები,
ადამიანებს — აზრი ძლიერი.
ქარი სჭირდება აშოლტილ რტოებს,
ტყეებს — სიმწვანე მაღალთა ხეთა, —
ჩვენ გვესმის სულში რა ფიქრსაც ტოვებს
და რატომ გვიყვარს ქართველებს მცხეთა.
შენა ხარ ჩემი მცხეთის ტაძარი,
შენა ხარ ქარი — ტყეთა სიმღერა;
ჩემს სულში მწვანე ფიქრი დასძარი,
რომელიც ახლა ზღვისკენ მიღელავს.
შენა ხარ ჩემი მაღალი ფრესკა,
სავსე იმედით, ლტოლვით, იჭვებით, —
ეს შენ მიბოძე ზვავები ფერთა,
რომელსაც თვალთა ბადით ვიჭერდი.
შენა ხარ ჩემი ფიქრის სათავე
და უკვე მქვია სიმყარე მიწის, —
მე შენ პურივით დამათავთავე
და... სული ქართლის მინდვრებზე იწვის.

## შენთვის ავენთო მზესავით

პაპის საფლავი აქ არი,
მამის საფლავი აქ არი,
მეც აქ დავდივარ,
შენი ვარ,
შენი სიცოცხლით დამთვრალი.
ვარ შენი მიწის ბალახი,
ბერხენ ჯიხვივით ამაყი.
ნაზიც ვარ,
როგორც იფანი,
მაგ შენი იის ცისთვალით
ხარ ჩემი დასაფიცარი.

მამულო,
ტკბილო მამულო,
ვარ შენი კერის ნაცარი, —
სიცოცხლეს იმას ვეძახი,
რაშიც ვარ,
ჩემში რაც არი.
ვარ შენი ერთი მარცვალი
და მოშრიალე ლერწამი,
ნეტავი შენთვის დავიწვა, —
შენთვის ავენთო მზესავით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი
სანადირაძე

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე



# ცისფერი ყური

მთელი კვირა წვიმდა. წვიმდა და ქარი ქროდა. ზღვა გადაირია, ნავსადგურში დამდგარი გემები რეიდზე გარეკა და უზარმაზარი ტალღების გუგუნით ემუქრებოდა სანაპიროს. მაგრამ უამინდობას არ შეუშინებია თემო და მისი ამხანაგები. მათ ძველი თუნუქის ნაჭრებით გადახურეს ნავების შემკეთებელი სახელოსნო და შესასვლელთან დიდი ასოებით დააწერეს: **„სპარტაკის შესახვევის შტაბი“.** გვერდით კი, ყოველი შემთხვევისათვის, ცუგო სვანიძემ ისარი და თავის ქალა მიახატა, რაც ნიშნავდა—გარეშეთათვის შესვლა სასტიკად აკრძალულიაო. ბიჭებს იმდენი ფიცრები მოეტანათ, ერთ ნავს კი არა, მთელ ფლოტს ეყოფოდა. ქლიბი, ნაჯახი, შალაშინი და ლურსმნები გოგია დოლიძემ სახელოსნოს ნანგრევებში იპოვა. ეტყობა, სხვა შენობაში გადასვლის დროს, მუშებს ისინი ბრეზენტში გაეხვიათ და დავიწყებოდათ. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ბიჭები ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ, საიდან უნდა დაეწყოთ ნავის მშენებლობა და, საერთოდ, როგორი უნდა ყოფილიყო იგი.

---

**გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 10.**

ერთ ღამეს მთელი დაბა ფეხზე დადგა. ათი საათი იქნებოდა, როცა სანაპიროს სათვალთვალო კოშკზე ზარის ხმა გაისმა. ზარის ხმა არ წყდებოდა დიდხანს, ვიღაცის მძლავრი ხელი მოსალოდნელ საფრთხეს აუწყებდა დაბის მცხოვრებლებს. მეთევზეები და სანაპიროს მეზღვაურები ამ დროს „ოცნების ფრთების“ მყუდრო დარბაზში ისხდნენ და ლუდს სვამდნენ. ჯერ არავის მიუქცევია ზარისთვის ყურადღება. მერე კი, როცა არ იქნა და აღარ მიწყდა რეკვა, მეთევზეებმა შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს და წამოიშალნენ.

სათვალთვალო კოშკთან უამრავი ხალხი შეგროვილიყო. მოხუცი სიდო და კიდევ ორი მეზღვაური ყველაზე ადრე ავიდნენ რკინის გრძელსა და დახვეულ კიბეზე. იქ, ზევით, პაწია კოშკის თავზე ზარი ეკიდა. ზართან ვიღაც იდგა. თოკს სწევდა და თან ხმამაღლა რაღაცას ყვიროდა. მეთევზეებმა სიბნელეში ვერ გაარჩიეს მისი სახე. ბრეზენტის უზარმაზარ ლაბადაში გახვეული ადამიანის გამოცნობა ამ კუნაპეტ ღამეში ძალზე ძნელი იყო. სიდომ მიაყურა.

— კარჭაპი! კარჭაპი გაიტაცა ზღვამ!... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაისმა ზარისა და ქარის გუგუნში.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ნაპირს.

ყველა მიხვდა, რომელი კარჭაპი ჰქონდა მხედველობაში სათვალთვალო კოშკის თავზე ასულ უცნობს. ეს იყო ახალთახალი, ამწიანი კაპიორი, რომელიც სულ რაღაც ორი თვის წინათ მიიღო სანაპირო ფლოტის სამმართველომ.

ვისაც ზღვაზე დიდი ხანი უცხოვრია, დამეთანხმება, რომ მეთევზეები ბუნებით ფიცხნი არიან, მაგრამ ღელვით გამოწვეული კატასტროფები არასდროს არ უკვირთ და არც არასოდეს აბნევთ. ასეა, თუ ადამიანს ძალა არ შესწევს წლიდან წლამდე ამრავლოს თავისი გამარჯვებები სტიქიასთან ბრძოლაში, მაშინ მას ნაცრის ქექვისა და ბრმა იმედის მეტი არაფერი დარჩენია...

სწრაფად გამოიყვანეს მოტორიანი ბოტები, რომლებიც ქარიშხლისათვის ზედგამოჭრილი იყო, და აქაფებულ ტალღებში შეაცურეს. სტიქიასთან ბრძოლამ სამ საათს გასტანა. ზღვა მთელი სისწრაფით მიაქანებდა უპატრონოდ მიტოვებულ კაპიორს, მიაქანებდა უმისამართოდ. მეთევზეები მხოლოდ ტალღათმკვეთთან დაეწივნენ მას. ტალღათმკვეთის იქით მეჩეჩებით დაცხავებული ნაპირი იწყებოდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ლაზმა ხალილ ფშანავამ, ერთ დროს შორეული ნაოსნობის გემებზე რომ მსახურობდა, კარჭაპი რეიდზე დააყენა. მთელმა დაბამ

შვებით ამოისუნთქა. პროჟექტორების შუქზე ისინი ხედავდნენ, როგორ ერთბაშად შემობრუნდა კაპიორი და როგორ ჩაუშვა ღუზა მეთევზეთა სეინერების ახლო. მხოლოდ ახლა გაახსენდათ უცნობი, რომელიც სათვალთვალო კოშკის თავზე იდგა. გაახსენდათ და, სათვალთვალო კოშკს მიაშურეს. კოშკში ნაპირის მეზღვაურს ერასტი ჩოჩიას ეძინა — თავქვეშ მეზღვაურის ქურთუკი ამოედო და საშინლად ხვრინავდა. მაგიდის ქვეშ კი ღვინის ცარიელი ბოთლები ეყარა.

— ვაი, შენს პატრონს, — თქვა მეთევზეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, მაღალმაღალმა, პირქუშმა მამაკაცმა, რომელსაც „ძია ირაკლის" ეძახდა ყველა, — ამის იმედზე დავტოვეთ სამი მილიონ მანეთად ღირებული კარჭაპი? ამას თხას არ მიაბარებს კაცი!

ძია ირაკლიმ ღრმად ამოიხვნეშა და მეთევზეებს გადახედა.

— ვინ რეკავდა?

მეთევზეებმა მხრები აიჩეჩეს.

— მოძებნეთ და მომიყვანეთ. ის რომ არა, სამვილიშვილოდ მოგვეჭრებოდა თავი. თანაც, ამოდენა ზარალს გადავრჩით.

მეთევზეთა დაბის მცხოვრებლებში ჩოჩქოლი ატყდა. აქ ცუდიცა და კარგი ამბავიც ერთნაირად ვრცელდება ხოლმე. ერთმანეთი გაკითხ-გამოკითხეს, უცნობის ჩაცმულობა გაიხსენეს. ხმაც თითქოს ეცნაურათ, მაგრამ არ იქნა და არა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვინაც პირველმა შენიშნა კარჭაპის აწყვეტილი ბაგირი, არსად ჩანდა.

●

იმ ღამით გაბო გვიან დაბრუნდა შინ. სულერთავად ამოლუმპული ტანსაცმელი წინა ოთახში გამოიცვალა და სამზარეულოში შეიხედა. მაგიდასთან შუახნის, ლამაზი გარეგნობის ქალი იჯდა. პატარა მაშუქა აენთო და სვიტრს ქსოვდა. ქურაზე ქვაბი იდგა, ქვაბს თავი ახდილი ჰქონდა და ოხშივარი ასდიოდა.

— მოხვედი, გაბრიელ? — გაუღიმა ქალმა, — ასე გვიანობამდე სიარული შეიძლება განა? არც გისადილია.

გაბომ წარბებს ქვემოდან გახედა დედინაცვალს. გაბოს დედინაცვალი ძალიან კარგი ქალი იყო, ყველა აფასებდა. ბიჭს კი არ იქნა და არ გაუთბა გული. ქალი გრძნობდა ამას, მაგრამ არ იმჩნევდა.

— რა გააკეთე? — იკითხა გაბომ.

— ჯერ დაჯექი, — გაიღიმა ქალმა. მას თამარი ერქვა და მეთევზეთა დაბის აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობდა.

— მე ბორშჩის მეტს არაფერს შევჭამ, — ცხვირი აიბზუა ბიჭმა.

— კეთილი. მეც ბორშჩი მოგიმზადე. ზედ ხორციან ღვეზელს დააყოლებ.

გაბომ ნერწყვი გადაყლაპა. მართალია, წინათ იგი ყოველთვის იწუნებდა დეიდა თამარის დამზადებულ კერძებს, იწუნებდა ისე, ტყუილად, რათა გული ტკენოდა ქალს, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ მათი ოჯახის დიასახლისი გახდა. მაგრამ ახლა საშინლად შიოდა. თანაც კარგ ხასიათზე იყო და რატომღაც წარამარა აფახულებდა გრძელ წამწამებს.

გაბოს შია. გაბო გრძნობს, როგორ თბილ ტალღასავით გადადის ყელში ქვეყნად ყველაზე გემრიელი, ყველაზე ნოყიერი ბორშჩი. მაგრამ მაინც ახერხებს ასწიოს თავი და ნაძალადევად დაიჭყანოს:

— ეს განა ბორშჩია? კომბოსტოს ჩალის გემო აქვს, ხახვს კი... — უცებ ვერაფერი მოიგონა და ისევ თეფშს მიუბრუნდა. ცოტა ხნის მერე ღრმა თეფშის ფსკერიც გამოჩნდა.

— დაგიმატო კიდევ? — ალერსიანად ეკითხება თამარი.

— მე თვითონ ამოვიღებ. — უხეშად ამბობს გაბო.

გარეთ ქარია. წვიმაა. უკუნეთია.

ქარი ხეებს ხრის და ხეთა ტოტები მთელი ძალით ეხეთქებიან კედელს. ფანჯრები ზანზარებენ. გაბო თავის ოთახში გავიდა, კარები ჩაიკეტა. დეიდა თამარის სახეზე ღიმილი გაქრა, მან სვიტრის ქსოვას თავი მიანება და ხელები სახეზე აიფარა. იგი ატირდა. ატირდა უხმოდ. მხრები უთრთოდა და საფეთქელთან პაწია, ლურჯი ნაოჭი გაუჩნდა.

გაბოს კი ეს არ დაუნახავს. იგი ლოგინში ჩაწვა და ფიქრებში ჩაეფლო.

მამა გვიან დაბრუნდა. გაბო ძილღვიძილში იყო, როცა მძიმე ნაბიჯების ხმა და ოდნავ დახშული ჩურჩული შემოესმა. მერე, ვიღაცამ სკამი მიაჩოჩა მაგიდასთან; მერე, კოვზმა გაიჩხარუნა და წამით ყველაფერი მიწყნარდა.

უცებ:

— საშინელი ამბავი დატრიალდა დღეს ზღვაზე. — ეს მამაა.

— რას ამბობ. რამე უბედურება ხომ არ მომხდარა? — ეს თამარია.

— ამაზე დიდი უბედურება რა უნდა მომხდარიყო. გახსოვს, ამასწინათ რომ გითხარი, ჩვენმა სამმართველომ ახალთახალი კაპიორი მიიღო მეთქი?

— რავა არ მახსოვს.

— ჰოდა, ამ ქარიშხალში ბაგირი გაწყვეტილა და ის კარჭაპი გაუტაცნია.

— უჰ! — გაბოს სულ გაუქრა ძილი. საბანი გადაიძრო და მოხერხებულად დაწვა. მას აინტერესებდა, რას იტყოდნენ კიდევ იქ, მეორე ოთახში.

— სანაპიროს მეთვალყურეც გატრეტილი მთვრალი იწვა თავის ჯიხურში... — განაგრძობდა მამა.

— და კარჭაპი დაიღუპა?

— არა. ვიღაცას დაუნახავს, როცა ნაპირს სცილდებოდა და განგაში აუტეხია. იმ წუთს, აბა, ვის დააინტერესებდა იმ მადლიანის ვინაობა. მერე კი, როცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ველარსად ვნახეთ.

— ჩვენი დაბიდან იქნებოდა ვინმე.

— აბა, იმ დროს სხვას ვის მოუნდებოდა ნაპირზე გასვლა. სანაპირო ფლოტის მმართველს ერთი სული აქვს მის ნახვამდე, — ამბობს, საჩუქრებით ავავსებო, და აავსებს კიდეც. დიდ ზარალს გადავრჩით.

ისევ სიჩუმე. კოვზი ჩხარუნობს და კედლის იქით, მეორე ოთახში კედლის საათის კაკუნი ისმის.

— ბიჭი როგორაა?

ამ კითხვას მამა ბოლოსთვის იტოვებს მუდამ. ბიჭი-გაბოა! გაბო წევს და გრძნობს, რა მაგრა უცემს გული. მან იცის, რასაც იტყვის თამარი. თვალებს ხუჭავს. საათი თანდათან უმატებს კაკუნს, და ასევე სწრაფად სცემს გულიც.

— რა უჭირს, — ისმის წყნარი, ოდნავ ნაღვლიანი ხმა. — კარგადაა, ყველაფერს მიჯერებს. მოკლედ, ვერ იცნობ.

— მართლა? — შეწყდა კოვზის ჩხარუნი.

გაბოს თავი დაუბრუვდა. ცივმა ოფლმა დაასხა.

— „დახე, არ დამასმინა, დახე!" — ჩურჩულებდა თავისთვის.

სიბნელეში იწვა და ფიქრობდა. ათას რამეზე ფიქრობდა. უცებ თავი ასწია, გვერდზე გადაბრუნდა და თითები გაატკაცუნა. სახეზე ალტაცება აღბეჭდვოდა; ხოლო რად აღბეჭდ-



ვოდა სახეზე აღტაცება და რად გაატკაცუნა თითები, ამას მიხვდებით მერე, თუკი მოთმინებით აღიჭურვებით და წამყვებით იქ, სადაც მე წაგიყვანთ.

●

ბიჭები ფიცრებს რანდავდნენ. გარეთ ქარი ქროდა. წვიმა შეწყვეტილიყო, მაგრამ დიდრონი, ამღვრეული ტალღები ისევ ხმაურით ეხეთქებოდნენ ჯებირს. ბიჭები მკლავებდაკაპიწებული მუშაობდნენ. რობერტ მამალაძე „მთავარი" კონსტრუქტორი იყო. მართალია, თვითონ არაფერს არ აკეთებდა, მაგრამ მითითებებსა და „იდეებს" უხვად არიგებდა. ბოლოს, ცუგო სვანიძემ ვეღარ მოითმინა და „სიმულანტი" დაუძახა. იცოცხლე, აიფხორა რობერტი. ძალიან კარგი ბიჭი იყო. შინ რგოლებით-ვარჯიშობდა და ტანი კოხტად დაეყენებინა. ერთი სიტყვით, მასთან საქმის დაჭერა არც ისე სახუმარო გახლდათ. მაგრამ მეგობრობა-მეგობრობაა, და მეგობართან წაკინკლავება არც არის საკადრისი.

— აბა, მითხარით, რა ვქნა? — სწრაფად მოლბა რობერტი. და რადგან სწრაფად მოლბა, ეს იმას ნიშნავდა, რომ გულიც კეთილი ჰქონდა — მოსიყვარულე და დამყოლი.

— საჭმელი მაინც მოგვიტანე.

— ახლავე, — გაუხარდა რობერტს, — ამაზე ადვილი საქმე რაა. შინ გავიქცევი და ყველაფერს მოგიტანთ, — გარეთ გაიხედა. არ წვიმდა. მხოლოდ ქარი ქროდა და ხეთა ფოთლებზე შერჩენილ ოჭვათოს ბერტყავდა. მტვირთავების მსგავსად — ძველი ტომარა მოიხურა და ბაზისაკენ გაიქცა. ჯერ მეტეოროლოგიურ სადგურს აუქცია გვერდი, მერე პაწია სკვერთან შეისვენა და, როცა სანაპირო ფლოტის სამმართველოს გაუსწორდა, გაბოს მოჰკრა თვალი, სასურსათო მაღაზიის წინ იდგა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და უსტვენდა. გაბომ შორიდან დაუქნია ხელი.

— წრიპას ვახლავარ!

— ვის ეძახი? — გაიკვირვა რობერტმა და მხრები აიწურა.

— რა თქმა უნდა, მის უდიდებულესობას.

— მერე, მე წრიპა მქვია? მე რობერტი მქვია!

— დღეიდან წრიპა იქნები.

— არ ვიცოდი ახალი ხელობა თუ შეიძინე, წოპწოპ!

გაბოს თვალები აემღვრა. ხელები ჯიბეებიდან ამოიღო და კაკარდიანი ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა.

— რა ხელობა, ჰა?

— ნათლიმამობა.

— გაიარე, სანამ გვერდები მთელი გაქვს.

რობერტმა უცნაურად შეხედა გაბოს. როგორც ზემოთ ვთქვი, მამალაძე რგოლებით ვარჯიშობდა, კუნთები კარგა გვარიანად ჰქონდა მომაგრებული, მაგრამ ისიც არაერთხელ ენახა, როგორ ჩხუბობდა გაბო. ეს მაღალი, დიდთავა ბიჭი, რაც მართალი მართალია, საოცრად გულადი იყო და მარტო სკოლაში კი არა, მთელ უბანში მასზე უფროსებიც ვერაფერს უბედავდნენ. თანაც, გაბო ერთადერთი ბიჭი იყო, რომელსაც ბესიკა ბაცანი მეგობრობდა. შეიძლება სწორედ ამის გამო, და შეიძლება იმის გამოც, რომ ჩხუბი არ უნდოდა, რობერტმა უცნაურად შეხედა გაბოს.

— თქვენს ატამანს მოკითხვა გადაეცი!

— რომელ ატამანს? — იკითხა რობერტმა.

— აი, იმას — „კრეისერის" მშენებლობას რომ განაგებს.

რობერტს რეჩხი უყო გულმა: „ამ გაბომ ყველაფერში უნდა ჩარგოს თავი, ყველაფერს უნდა მიაგნოს მეძებარი ძაღლივით. მალეს, მალეს და მაინც ვერ დამალეს. ვიღაცამ ამბავი მიუტანა, ნამდვილად მიუტანა, ბიჭებმა კი ფიცი დადეს, ყველაფერი საიდუმლოდ შევინახოთო. ესეც შენი საიდუმლო. ახლა ყველაფერი გათავდა".

— მერე, შენ რა გინდა? — გული მოუვიდა რობერტს.

— რა უნდა მინდოდეს, ა? — პირიქით შემოჰკითხა გაბომ, — მე გაგაფრთხილე მხოლოდ... გავიგე, რაზმი ჩამოგიყალიბებიათ... ჰოდა (გაბომ ირონიულად გაიღიმა) რაზმი ჩვენც ჩამოვაყალიბეთ და, მარტის ქუჩაზე თუ დაგიჭირეთ...

— აგრე თუა, ვერც თქვენ გამოივლით ჩვენს ქუჩაზე...

— ვითომ?

— ამას კიდევ ვნახავთ, ვინ ვის ქუჩაზე ვერ გაივლის.

— ოჰო! — თვალები აუციმციმდა გაბოს. პირში თითები ჩაიდო და დაუსტვინა. ოო, რა მძლავრად დაუსტვინა! რობერტმა გაოცებისაგან პირი გააღო და ისევ დამუწა. მიხვდა, კარგად არ იყო მისი საქმე. ვიდრე გაბო თავის ბიჭებს უხმობდა — სწრაფად მიეფარა კუთხეს, მიეფარა, მაგრამ გაბოს ხმა დაეწია, ნალთში ჩააფრინდა და ყურები აუწვა:

— წრი-პა! წრი-პა!

რობერტმა ნავების შემკეთებელ სახელოსნოსკენ მოცოცხა.

„ბიჭებს უნდა შევატყობინო... თორემ ეს გაბო არ დაგვაყრის კაი დღეს".

და სანამ იგი ნავების შემკეთებელ სახელოსნოსაკენ გარბოდა, გაბო სიცილისაგან იჭაჭებოდა. მერე პიჯაკის საყელო აიწია, ქუდი გაისწორა და სანაპირო კაფესაკენ გასწია.

კაფეში უამრავი ხალხი შეყუჟულიყო. ეს არც იყო გასაკვირი: ქარიშხლის დროს მეთევზეები ან ბადეს ქსოვდნენ, ან სანაპირო კაფეში სვამდნენ „გადასარევ“ ყავას. ბიჭი კარებთან გაჩერდა. დარბაზი შეათვალიერა. შენობაში თამბაქოსა და მოხალული ყავის სუნი ტრიალებდა. კუთხეში, სადაც დეკორატიული პალმა ეფარებოდა ნესტით გაყვითლებულ კედელს, მოხუცი სიდო იჯდა. ბიჭი იქითკენ გაემართა და მოშორებით გაჩერდა.

ბერიკაცმა თავი ასწია, პირთან მიტანილი ფინჯანი ლამბაქზე დადო და თეთრი, გაჩაჩხული წარბების ქვემოდან ამოჰხედა.

— ა, ეს შენა ხარ? რა გინდა, ბიჭო?!

გაბოს ენა დაება. ეტყობოდა, რაღაცის თქმას აპირებდა და ვერ გაბედა. მოხუცი წამოდგა, მიუახლოვდა და მხარზე დაადო ხელი.

— ჰო, აღარ იტყვი, რა მოხდა?

— იცით, იმ ღამეს ვინ დარეკა ზარი?

ბერიკაცმა თავი გააქნია, — არაო, და თვალებში რაღაც უცნაურმა ნაპერწკალმა გაუციმციმა.

— ეს მართალია, რომ ვინც ზარი დარეკა, ჯიბის საათს შეპირდა ძია ირაკლი?

— რა თქმა უნდა! ამის გასაგებად მოხვედი? შენ რაღაცა იცი და არ მეუბნები.

ბიჭმა სახელოთი ცხვირი მოიწმინდა და ჩაახველა:

— რომ ინახოს ის კაცი? მისცემს საათს?

— ეგ რაა, გაზეთშიც დასწერენ.

ბიჭი ჩაფიქრდა.

— ის..... ის..... ის.... მე ვიყავი...

— რაო? — გამოცოცხლდა სიდო, — მერე რას გაჩუმებულხარ... ხმაც აგიკანკალდა. იმ ღამეს მაგრად რეკავდი ზარს! ჰა, ხედავთ გმირს, — მიუბრუნდა ბერიკაცი მეთევზეებს, — აი, ამას დაუნახავს იმ ღამეს კარჭაპი!... ჩვენს გაბოს, გაბრიელს!...

და აირია ყველაფერი, — აქამდე რატომ არაფერი თქვიო, — საყვედურობდნენ ერთნი, მეორენი მხარზე უტყაპუნებდნენ ხელს და „გმირს“ ეძახდნენ, მესამენი დაეჭვებით უცქერდნენ შორიდან და მხრებს იჩეჩდნენ — ამ ღლაპს რა უნდოდა ისე გვიან ნავსადგურშიო.



ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გაბო აიტაცეს, ჩაიხუტეს და სამმართველოსაკენ გააქანეს.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო დაბას. გაბო გაიზარდა, დავაჟკაცდა. გალამაზდა. რამდენი ცუდი ახსოვდათ დაბელებს მისგან, რამდენი სიავე, მაგრამ ეს ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდათ.

ამ ამბავმა ნავების შემკეთებელ სახელოსნოში შეყუჟული ბიჭებიც მოძებნა. სიმართლე რომ ითქვას, ბიჭები ძალიან დაღონდნენ, აფორიაქდნენ, გაღიზიანდნენ და აყაყანდნენ.

— ახლა ნახე გაბოს გაბღენძვა!— თქვა თემომ.

— თანაც, ქალაქიდან გაზეთის კორესპონდენტი ყოფილა ამოსული და გაბო იმასთან წაუყვანიათ... — თქვა გოგია დოლიძემ.

— რაც არ უნდა დიდი გმირობა ჩაიდინოს, მაგი მაინც ოროსანია, — თქვა რობერტ მამალაძემ. — აბა, სად თქმულა ოროსანი გმირი?

— რაღა მაინცდამაინც ეგ აღმოჩნდა იმ დროს ზღვაზე? —თქვა ცუგო სვანიძემ, — ბედი უნდა ყველაფერს.

— ჩემი თვალით ვნახე, ოქროსძეწკვიანი საათი აჩუქა ძია ირაკლიმ. — დაუმატა სანდრო ლობჟანიძემ.

— ოქროსძეწკვიანი? — თვალები მოჭუტა თემომ.

— ოქროსძეწკვიანი და ბრჭყვიალა თავსახურიანი, — განაგრძო სანდრომ, — ახდი თავსახურს და მუსიკაც აწკრიალდება. ჯადოსნური საათია თითქოს.

ბიჭებმა სამუშაოს თავი მიანებეს. ხასიათი წაუხდათ. ისხდნენ ჩუმად, ისხდნენ ჩამქრალი კოცონის ირგვლივ, გარეთ ქარი ქროდა. ხეთა კენწეროებს არხევდა, ძველი თუნუქის სახურავიდან სახელოსნოში მიძვრებოდა და უცნაურად ქშუტავდა. სახელოსნოს შუაგულში ხარიხებზე შემდგარი ნავის ჩონჩხი ჩანდა. თემომ შეხედა ხარიხებს, შეხედა იქვე დაყრილ გარანდულ ფიცრებს, ნაჯახს, ჩაქუჩს... და გაიფიქრა: „მერე რა, იტრაბახოს გაბომ ოქროსძეწკვიანი საათით. ჩვენ უფრო მეტად გვაქვს თავი მოსაწონი, ჩვენ ხომ ნავს ვაშენებთ, ნამდვილ დიდ ნავს. ეს ნავი ბაბუა სიდოს თავის ახალ-

გაზრდობას მოაგონებს, რადგან მას „ელდორადო“ ერქმევა!“..

●

ქუჩის კუთხეში, სადაც აგურით ნაშენი ფურნეა, ვიღაცას დიდი, აჩხა-ბაჩხად დაწერილი განცხადება გაუკრავს:

„ყველას, ყველას, ყველას! ჩვენ— მარტის ქუჩის ბიჭების რაზმი — ომს ვუცხადებთ სპარტაკის შესახვევის ბიჭებს. ომის პირობა — ჩხუბი ხის ხმლებით, თხილის გულისოდენა ქვებით, გადამწვარი ნათურებით, შეიძლება — მუშტიც. ტყვედჩავარდნილებს გადაეხდევინებათ ხარკი— მუზა ტარანტინოს დუქანში ნაყიდი ათი ფუნთუშა თითო სულზე.

**ნეიტრალური ზონა — მეთევზეთა დაბის ხიდი. 20 ივნისი. მარტის ქუჩის გენერალური შტაბი“.**

ყველაზე პირველად ეს აფიშა პატარა ილომ შენიშნა. მივიდა. მთელ საათს უკირკიტა, ცქმუტავდა, ოხრავდა, კეფას იფხანდა, ბოღმისაგან ლამის გასკდა. „ერიჰა, ეს რა ამბავია ჩვენს თავს“, — გაიფიქრა და თემოს სახლისაკენ მოჰკურცხლა. მოსახვევში ვიღაცამ ფეხი დაუდო. ამოტრიალდა და მიწაზე გაიშხლართა.

— ხა, ხა, ხა, ხა! — ჩაესმა. შუბლზე ხელი მოისვა. აუ, რამოდენა კოპი ამოეზარდა! შეეშინდა, მაგრამ სიცილი ისევ ჩაესმა. თავი წამოსწია, წამოიჩოქა და გაბოს გაღადღლაბულ სახეს მოჰკრა თვალი. მის უკან მარტის ქუჩის ბიჭების მთელი რაზმი იდგა.

— ხელები შეუკარით და საბძელში დაამწყვდიეთ. მერე იმ დოყლაპია თემოს აცნობეთ, რომ მისი ერთი თანამებრძოლი შევიპყარით დღეს. ვატყობ, მუზა ტარანტინოს ფუნთუშებით ჩავიგემრიელებთ პირს, — გასცა განკარგულება გაბომ.

ბიჭებმა ისევ გაიცინეს, მაგრამ ილოსათვის ხელი არ უხლიათ.

— რას მერჩით, ა? — ცრემლი ყელში მოებჯინა ილოს.

— განა ვერ წაიკითხე, ომი გამოგიცხადეთ!

— მე არაფერი ვიცოდი.

— ტყუის, — თქვა გრძელცხვირა სოლომონმა. — ჩემი თვალით ვნახე განცხადებას რომ კითხულობდა.

— მერე რა?! — გული ამოუჯდა ილოს, — დღეს გამიშვით...



— კარგი, ხელებს ნუ შეუკრავთ, ისე დაამწყვდიეთ, — „მოლბა“ მარტის ქუჩის ბიჭების წინამძღოლი, თან ძია ირაკლის ნაჩუქარ საათს დახედა, — წაიყვანეთ!

ილოს აქეთ-იქიდან დურიკა კოპალეიშვილი და თანდილა უჯმაჯურიძე ამოუდგნენ. ილოს სულ გადაავიწყდა შუბლზე ამოზრდილი კოპი. გადაავიწყდა მუხლის ზემოთ გადაგლეჯილი შარვალი. მიხვდა — რასაც უპირებდნენ.

— აბა, წავიდეთ, — უბიძგეს ბიჭებმა.

ილოს ნანახი ჰქონდა ეს საბძელი. იგი დიდი იყო, შიგ ათასნაირი რკინა და დამტვრეული ავეჯი ეყარა, თანაც ვირთხებით იყო გატენილი.

შედგა. გაძალიანდა. თავი გაითავისუფლა და კედელს მიეყრდნო.

— გამიშვით, — თქვა ხმამაღლა.

— რატომ უნდა გაგიშვათ, შენ ჩვენი ტყვე ხარ.

— ფუნთუშები რომ ვიყიდო?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. მუზა ტარანტინოს ფუნთუშების უბრალო ხსენებაც საკმარისი იყო, რომ ფარხმალი დაეყარათ. გაბომ ნერწყვი გადაყლაპა. მაგრამ იგი მეთაური გახლდათ და ყველაზე მეტი სიფრთხილე მართებდა.

— არ გვატყუებ? — იკითხა მან.

— რათ უნდა მოგატყუოთ?

— ფული საიდანა გაქვს?

— შინა მაქვს, ყულაბაში ვაგროვებ.

— კარგი აბა, გაიქეცი და მოიტანე.

ილო პატარა, სასაცილო ბიჭი იყო. დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა. სერიოზულად გამოიყურებოდა და მარტის ქუჩის რაზმელებმაც დაუჯერეს.

— ხომ იცი, რამდენი ფუნთუშა უნდა იყიდო? — შეახსენა გაბომ.

— ვიცი, ათი ცალი.

— პირობა — პირობაა. აბა, მოკურცხლე, — თქვა დურიკა კოპალეიშვილმა.

— ორი ცალი მე! — მოკლედ მოჭრა გაბომ. — ასეა, ვინც ტყვეს ჩაიგდებს, ორი ცალიც მისია.

ბიჭები მთელი ორი საათი ელოდნენ ილოს. ელოდნენ და ილანძღე-

ბოდნენ. ბოლოს, მოთმინების ფიალა აევსოთ და, რაზმის მეთაურის გადაწყვეტილებით, თანდილა უჯმაჯურიძე დასაზვერად გაგზავნეს. თანდილა თავით-ფეხებამდე ამოლუმპული დაბრუნდა უკან. პატარა ილოს კასრით წყალი გადაესხა მისთვის. მართალია, მარტის ქუჩის ბიჭებს ეწყინათ ეს ამბავი, მაგრამ, მეორე მხრივ, სიმპათიურადაც კი განეწყვნენ იმ სასაცილო, ცხვირდაჭყაპული ილოს მიმართ. იგი ხომ ასე მოხერხებული და უშიშარი იყო! მეთევზეთა დაბის ბიჭებს კი ძალზე უყვართ მოხერხებული და უშიშარი ბიჭები!

— აწი აღარავინ დავინდოთ, — გასცა ბრძანება მარტის ქუჩის წინამძღოლმა, — თუ ომია, ომი იყოს!

ამასობაში მთელი სპარტაკის შესახვევი ფეხზედ დადგა. პატარა ილომ მარტის ქუჩის ბიჭების განზრახვა ფილიპა ლობჟანიძის ბადიშს — სანდროს გაანდო, სანდრომ — თემოს, თემომ — რეზო წულაძეს. რეზო წულაძემ — რობერტ მამალაძეს... ამ უკანასკნელმა ჰანტელებით ვარჯიში მიატოვა და საჩხუბრად გამზადებული გაემართა ნავების შემკეთებელ სახელოსნოსაკენ. იქ მას თემო და მოხუცი სიდო ელოდნენ. რობერტმა თემო განზე გაიხმო და რაღაც წასჩურჩულა. მოხუცმა გაიღიმა და თქვა: — რას მიმალავთ, ბიჭებო, ა? — რობერტმა თემოს შეხედა. თემომ ანიშნა, თქვიო, და რობერტმაც მოხსნა თავი გუდას. მოხუცმა თავი გააქან-გამოაქანა, — დახე, იმ ეშმაკის კერძს გაბოსაო, — გაიღიმა, მერე დაჯდა, ჩიბუხი ამოიღო, დატენა და გააბოლა. ბიჭებიც აქეთ-იქიდან შემოუსხდნენ, თვალებში უყურებდნენ. მოხუცი კმაყოფილი ჩანდა. ბიჭებს ხელობა შეუქო. მერე, ათას რამეზე ილაპარაკეს. შეთანხმდნენ, რომ ომი ეს დიდი და სერიოზული საქმეა. ომის დროს იღვრება სისხლი და ადამიანები აღარ ბრუნდებიან შინ, მაგრამ ომობანას თამაში სულ სხვაა, ბიჭებს შეუძლიათ ტყვეონ ერთმანეთი, ტყვეებს გადაახდევინონ ხარკი — ათ-ათი ფუნთუშა — და ღამღამობით დამშვიდებით იძინონ თავთავიანთ სახლებში. ომობანას თამაშის დროს შეიძლება ვინმეს შემთხვევით თავიც გაუტეხდეს. რა მოხდა მერე, ეს ხომ თამაშია! ამიტომ, ამის გულთან მიტანა არ შეიძლება. ბიჭებმა არ უნდა შეიძულონ ერთმანეთი. მათ არ უნდა დაჰკარგონ ზომიერების გრძნობა, და ყველაფერი რიგზე იქნება.

ამ დროს გაბო სანაპირო ქუჩაზე მოაბიჯებდა. უკან ბიჭების მთელი რაზმი მოჰყვებოდა, ცა ქუდად ჰქონდა და დედამიწა ქალამნად. უცებ, ნაცნობი ხმა გაიგონა.

— ციც!

გაიგონა, მაგრამ არ მიბრუნებულა.

— ციც! ციც, შე ყურუმსალო, განა მეგობრებს ივიწყებენ?

ეს ბესიკა ბაცანი გახლდათ. ბესიკა არ იყო მთვრალი. სუფთად ეცვა. პირისახეც სუფთად გაეპარსა და თმა ბრიოლინით აეპრიალებინა.

— გავიგე შენი გმირობის ამბავი... ჰმ, გმირი ხარ, რაღა! აბა, მაჩვენე შენი საათი!

გაბოს რეჩხი უყო გულმა. გაფითრდა.

— თ-თან რომ არ... რა... მაქვს... — წაილუღლუღა.

— რა თქვი? გეშინია? ნუ გეშინია, არ წაგართმევ.

— მართლა არა მაქვს თან — მხნეობა მოიკრიბა ბიჭმა.

ბესიკამ ფეხი წინ წამოდგა. ნაღვლიანი ჩანდა. რატომღაც მარცხენა წარბი უთამაშებდა.

— მაშ, იცოდე — ეგ საათი ჩემია. მე მეკუთვნის... ბიჭი მეგონე, ვაჟკაცი. შენ კი.. ტფუ... აღარც ვიცი, რა გითხრა...

— რას მერჩი!... — დაიბნა გაბო.

— იმას, რომ მატყუარა ხარ და მეტი არაფერი... ის ზარი მე დავრეკე იმ ღამით... მე... მე დავინახე, როგორ გაიტაცა ზღვამ კარჭაპი... შენ კი — მე ვიყავიო... ნუ გეშინია, არ გაგამხელ... იყავი გმირი... მაგრამ თვითონ შენ ხომ იცი, რომ დაუმსახურებელი ჯილდო მიიღე?!. ახლა წადი და ეცადე, აღარ შემეჩხირო თვალში, თორემ...

გაბო აკანკალდა.

— მე... მე... — დაიწყო, მაგრამ ხმამ უღალატა.

— წადი-მეთქი, და მორჩა!—თვალები გადაატრიალა ბესიკამ. — აფსუს, როგორ შევცდი! კაცი მეგონე!

გაბოს ბიჭები მთელი ოცი ნაბიჯის იქით იდგნენ და არ ესმოდათ ეს საუბარი. რომ გაეგონათ, მართლაც წარმოუდგენელი ამბავი მოხდებოდა. საქვეყნოდ მოეჭრებოდა თავი გაბოს, შერცხვებოდა, მაგრამ ბესიკა ბაცანი ჩუმად, ხმადაბლა ლაპარაკობდა და ბოლოს, სიბრაზისაგან, სულ ჩაუწყდა ხმა.

— სალახანა... — წაიჩურჩულა ბესიკამ და ზურგი შეაქცია. ეტყობა, გაბოს საქციელმა ძალზე ატკინა გული. აკი, მთელმა დაბამ იცოდა, რომ გაბო ერთადერთი ბიჭი იყო, რომელსაც ბესიკა ბაცანი კაი თვალით უცქეროდა.

გაბოს გული დაემდურა. ფეხი ზანტად აითრია და ბიჭებისაკენ გაემართა

— რა დაგემართა? — ჰკითხეს ბიჭებმა.

— არაფერი.

— რა გითხრა ბესიკამ?

— არაფერი.

— აბა, რა გატირებს, ა?

— რა თქვენი საქმეა?! — შეიღრინა გაბომ და ცხვირი სახელოთი მოიწმინდა. ბიჭებმა გაოცებით გახედეს ერთმანეთს, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხური მუსიკა

ევგენი მაჭავარიანი

ხალხური მუსიკა, ხალხური სიმღერა ხალხის ყოფაცხოვრების, მისი შრომის, ზეიმის და სიხარულის მრავალფეროვანი და სრულყოფილი ანარეკლია.

სიმღერა ხალხის არა მარტო თანამგზავრი და განუყრელი მეგობარია — ხალხის ცხოვრების წიაღში შექმნილი და საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებული სიმღერა თავისებური დოკუმენტიცაა. უსმენ მას და თვალწინ წარმოგიდგება მისი შემქმნელი ხალხი, მისი გარემომცველი სამყარო: ბუნება და საყოფაცხოვრებო პირობები, ეთნიური თვისებები და ეროვნული სულისკვეთება. უშუალო, ხშირად მიამიტობამდე მარტივი ხალხური სიმღერა გულწრფელად, დოკუმენტური სიზუსტით გამოხატავს მისი ავტორის — ხალხის ყველა დამახასიათებელ თვისებას.

ხალხური სიმღერა უწინარეს ყოვლისა ხელოვნებაა, რომელიც შემოწმებულია დროის მსვლელობით და ხშირად მის მიერვეა „რედაქტირებული" და დახვეწილი. როგორც წესი, ხალხური სიმღერა ანონიმურია, ე. ი. ჩვენთვის უცნობია — ვინ არის მისი ავტორი, ვის მიერ არის შექმნილი. ოდესღაც კონკრეტული პიროვნების მიერ შექმნილი სიმღერა შემდგომ ზეპირად გადმოცემულია თაობიდან თაობაში. ცალკეულ ადამიანებს გარკვეული ცვლილება შეჰქონდათ სიმღერის აღნაგობაში, ტექსტში, შესრულების მანერაში. ასე მოაღწია ჩვენამდე სხვადასხვა ქვეყნის ხალხურმა მუსიკალურმა შემოქმედებამ. დღეს ამ შემოქმედების შესწავლას ემსახურება მუსიკალური ფოლკლორი, მეცნიერების შედარებით ახალგაზრდა დარგი, რომელიც შეიარაღებულია ისტორიული, ეთნოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დისციპლინების მიღწევებით (ასე მაგალითად, ზოგიერთი სიმღერის შესრულებისათვის აუცილებელი პირობების შესწავლამ მეცნიერებას საფუძველი მისცა ივარაუდოს, რომ ისეთი სიმღერები, როგორიცაა სვანური ჰიმნი ამომავალი მზისადმი — „ლილე", ყველასათვის მახლობელი „იავნანა", „მზე-შინა" და მრავალი სხვა, ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში — კერპთაყვანისმცემლების მიერ არის შექმნილი).

ხალხური მუსიკა მდიდარი და მრავალფეროვანია, ვით თვით მისი შემქმნელი ხალხის ცხოვრება. თითოეული ერის მუსიკალურ ფოლკლორში შეგხვდება განსაცვიფრებელი სიმდიდრე მელოდიური სვლებისა, რიტმებისა და ხასიათებისა. მათში სჭარბობს არა გონებრივი, არამედ ემოციური საწყისი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — ხალხური სიმღერა ყოველთვის გულწრფელი გრძნობის პირმშოა. უშუალობა აქ როდი ნიშნავს პრიმიტივს, მდარეს. ხალხური სიმღერა, რა უბრალო და მიამიტიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ყოველთვის წუნდაუდებელია, გულმოდგინედ მოისმინეთ რომელი სიმღერაც გნებავთ, და თქვენ განცვიფრებული დარჩებით, ბგერათა ორგანიზაციის სრულყოფით — იქნება ეს რუსული „გაბმული სიმღერა", ზანგური „სპირიჩუელსი", აღმოსავლური „შუადამის ჩუქურთმა" თუ აფრიკელი ტომებისა ან ავსტრალიის აბორიგენების მოკლე და მარტივი მელოდიური „მოთქმა".




არის კიდევ ერთი, ყველა ერის მუსიკალური ფოლკლორისათვის ფრიად დამახასიათებელი თვისება—ბევრი სიმღერა მეტად ძველი წარმოშობისა, დაკავშირებულია საფერხულო შესრულებასთან, გამსჭვალულია აშკარად საცეკვაო რიტმით

ეს სრულიად ბუნებრივია, — ადრე ხომ სიმღერა ე. წ. სინკრეტული ხელოვნების ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა, სინკრეტული ხელოვნება კი სიმღერის, ცეკვის, პლასტიკისა და მაგიური მოძრაობის შერწყმა იყო.

ბევრ საერთოს ვნახავთ აგრეთვე სხვადასხვა ხალხის მუსიკის თემატიკაშიც. ყველგან შეგვხვდება საყოფაცხოვრებო, ისტორიული, ლირიკული, სალაშქრო, სუფრული და, რა თქმა უნდა, შრომის სიმღერები. შრომის სიმღერების დანიშნულება იყო არა მარტო შრომის პროცესის ერთგვარი გაადვილება, არამედ რამდენიმე ადამიანის შრომის ენერგიის გაერთიანება და ორგანიზაცია მთლიანი რიტმის მეშვეობით, რიტმისა, რომელიც თვით შრომის პროცესის სპეციფიკიდან, ადამიანების გარკვეულ მოძრაობიდან გამომდინარეობდა.*

აი, რაოდენ საინტერესო მოვლენაა ხალხური მუსიკა, ხალხური სიმღერა.

მაგრამ თქვენ ისიც იცით, რომ ხალხური მუსიკის გარდა არსებობს პროფესიული მუსიკა. კომპოზიტორები, რომელთაც გააჩნიათ სათანადო განათლება, ბგერათწერის ინდივიდუალური მანერა, საკუთარი მუსიკალური ენა და შემოქმედებითი პრინციპები, — ჰქმნიან ე. წ. „საკუთარ“ სიმღერებს.

პროფესიული მუსიკა ყველა ქვეყანაში ოდითგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. ამ კავშირის ფორმები მრავალფეროვანია. როდესაც ევროპის ქვეყნებში გაჩნდა ქრისტიანული რელიგია, ეკლესიის მსახურებმა აკრძალეს ხალხური სიმღერა, რათა სასულიერო საგალობლების მეშვეობით უფრო ღრმად დაენერგათ ხალხში ქრისტიანობა. ეს საგალობლები, — დასავლეთ ევროპაში — ლათინური, ხოლო აღმოსავლეთში ბერძნულ-ბიზანტიური, — წარმოადგენდნენ პროფესიული მუსიკის ერთადერთ გამოვლინებას, ისინი აღმოცენდნენ ხალხური მუსიკის — ძველი ებრაული ფსალმუნების, ასირიული და ბერძნული სიმღერების ნიადაგზე. მაგრამ ხალხური მუსიკის აკრძალვა და მოსპობა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ სულ მალე ეკლესია თავისებურ დათმობაზე წავიდა, —სასულიერო რიტუალში გამოყენებულიყო პოპულარული, ძველი კერპსათაყვანისმცემლო ჰანგები, ცხადია, ახალი ტექსტით..* ახალ ტანისამოსში გადაცმულმა ხალხურმა მუსიკამ თითქოს მიიღო „მოქალაქეობრივი უფლებები“. ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. ცნობილია მრავალი „თეორიული“ შრომა, სიტყვიერი გამოსვლა, დადგენილებებიც კი, ხალხური ხელოვნების — „ეშმაკის სიმღერების“ წინააღმდეგ. მაგრამ ამაოდ! ხალხური მუსიკა განაგრძობდა სიცოცხლეს. ეს კი მნიშვნელოვან იმპულსს წარმოადგენდა პროფესიული საერო მუსიკის შემდგომი განვითარებისათვის. იქ, სადაც პროფესიული მუსიკა ფოლკლორის ჯანსაღ ნიადაგზე ვითარდებოდა, ეროვნული მუსიკალური კულტურა ყოველთვის მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა, მას ყოველთვის ახასიათებდა თვითმყოფადობა.

—◆—

**1963** წელს თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა ანზორ ერქომაიშვილმა თავისი ბაბუასაგან — ცნობილი ხალხური მომღერლის არტემ ერქომაიშვილისაგან მრავალი ძველი სიმღერა და საგალობელი ჩაწერა. უნდა ითქვას, რომ არტემ ერქომაიშვილის სიმღერათა რეპერტუარი არსებითად ქართული ხალხური მუსიკის ენციკლოპედიას წარმოადგენს. თავის ამხანაგებთან ერთად ეს მხცოვანი ადამიანი ხშირად ასრულებს ძველ საგალობლებსაც. ამ საგალობლებს ახასიათებთ განსაცვიფრებლად ლამაზი, უჩვეულო აღნაგობა, ურთულესი ინტონაციური გადასვლა, მრავალხმიანობის მეტად ორიგინალური ფორმა. (ეს ის საგალობლებია, რომლებიდანაც ზოგიერთს ამჟამად ასრულებს კონსერვატორიის ვოკალური ანსამბლი „გორდელა“). მათ შორის ერთი — საეკლესიო მუსიკაში ცნობილია „ღვთისშობლის კანონთა საგალობლის პირველი ძლისპი-



---

* ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ჩვენს მშობლიურ ფოლკლორს, ჩვენს მუსიკალურ „დედაენას“ — ქართულ ხალხურ სიმღერას, ვინაიდან ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ მას და გვაქვს გარკვეული დამოკიდებულება მისდამი.

* ხომ მოგისმენიათ ქართული ხალხური სიმღერები, როგორიცაა „ნადური“, „ჰეგი-ოგა“, „ოდოია“, „მთიბლური“ და სხვა? ამ სიმღერებში აშკარად სჩანს კავშირი შრომის პროცესთან. ამ სიმღერებს ახლაც მოისმენთ ჩვენს მინდვრებსა და ველებზე.

* ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. გავიხსენოთ ნეკრესის ეკლესია, — ერთ-ერთი პირველთაგანი საქართველოში, რომელიც ფორმით ჯერ კიდევ ძველი, წარმართული ხანის სარიტუალო ნაგებობას მოგვაგონებს, ან მცხეთის ჯვრის მონასტერი, აგებული წარმართული კულტის — ხის ადგილზე...

რის“ სახელწოდებით. საგალობლის ტექსტი ჯერ კიდევ X-XII საუკუნეების ხელთნაწერებში გვხვდება.

ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ს. ლეკიშვილმა ქ. კიევში, არქივების ფონდებში მუშაობის დროს აღმოაჩინა 1801 წელს ევროპული სანოტო სისტემით ჩაწერილი ორი საერო-ლირიული სიმღერა, დაწერილი ბესიკის ტექსტზე და ერთი საგალობელი (აღსანიშნავია, რომ ს. ლეკიშვილის ამ აღმოჩენამ და შემდგომმა გამოკვლევამ შეცვალა აზრი იმის შესახებ, თითქოს პირველად ქართული მელოდია ნოტებზე ფიქსირებული იყო მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში). ეს საგალობელი აღმოჩნდა ჩვენთვის უკვე ცნობილი „ძლისპირი“, ერქომაიშვილის რეპერტუარიდან, უფრო სწორად, მისი ერთი ე. წ. წინამძღვარი სტროფი-მელოდია. შედარებისას გამოირკვა, რომ 1963 წელს ჩაწერილი მელოდია თითქმის უცვლელი ასლია 1801 წელს ჩაწერილი ორიგინალისა.

ხალხური შემოქმედების მეცნიერული შესწავლა დაიწყო შედარებით გვიან, XIX საუკუნეში. თუმცა ყველაზე პირველი კრებული, სადაც მოთავსებული იყო რამდენიმე სახასიათო ხალხური სიმღერა, გამოიცა, ჯერ კიდევ 1724 წელს, ინგლისში. გასულ საუკუნეში ევროპის ქვეყნები თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ხალხური სიმღერების ჩაწერასა და შესწავლაში. გამოდის ასობით სხვადასხვა კრებული, პროფესიულ მუსიკაში სულ უფრო ხშირად მიმართავენ ხალხური ჰანგების გამოყენებას, იქმნება სიმღერის გაერთიანება-საზოგადოებანი... ასეთი ცხოველი ინტერესი ხალხური ხელოვნებისადმი განპირობებული იყო ხელოვნებაში ახალი მიმართულებით — რომანტიზმით. ამის შემდეგ სრულიად შეიცვალა დამოკიდებულება ხალხური მუსიკის მიმართ.

გასული საუკუნე კაცობრიობის კულტურისა და ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქაა, რომელმაც მოგვცა შუმანი და ვაგნერი, მონიუშკო და შოპენი, ლისტი და ბერლიოზი, ჩაიკოვსკი და მუსორგსკი, როსინი და ვერდი, სმეტანა და გრიგი... ამ ეპოქამ ქართულ პროფესიულ მუსიკას ევროპულ სარბიელზე გასვლის ნიადაგი მოუმზადა.

—◆—

წარმოუდგენლად მრავალფეროვანია ქართული ხალხური მუსიკის რეპერტუარი: თუშ-ფშავ-ხევსურეთის მთებში შობილი, მარტივი, მოკლე, დაღმავალი მელოდიით აღბეჭდილი სიმღერა, ალაზნის ველივით გაშლილი, თავდავიწყებული, კახური გაბმული ჩაკრულო, სვანეთივით მედიდური, პირქუში ჰიმნები, კოლხეთის მზით გამთბარი, ნაზი მეგრული ლირიკული ჰანგები, გურული სიმღერა-პაექრობის გაუგონარი სიმკვირცხლე!...

ქართულ ხალხურ სიმღერებზე წერდნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველოში ნამყოფი უცხოელი ისტორიკოსები და გეოგრაფები. ჩვენს ხალხურ სიმღერას დღესაც აღტაცებაში მოჰყავს ყველა, ვინც მას მოისმენს. მსოფლიოში თანდათან იზრდება ინტერესი ქართული ხალხური მელოდიისადმი; ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ი. გრიუმომ საგანგებოდ შეისწავლა ქართული ენა, რათა უკეთ შეეგრძნო ქართული მუსიკის ბუნება; პროფესორმა ნოა გრინბერგმა ამერიკის შეერთებული შტატების თექვსმეტ უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციები ქართული სიმღერის შესახებ; გერმანელი კომპოზიტორი მანფრედ შუმანი აღტაცებულია ქართული ხალხური მუსიკით...

დღეს, ჩვენს პირობებში, ქართული ხალხური მუსიკის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. იქმნება ახალი სიმღერები ჩვენს თანამედროვეობაზე, გამოდის ხალხურ სიმღერათა კრებულები, იწერება თეორიული შრომები ქართული ხალხური მუსიკის წარსულსა და აწმყოზე... ახლა ეს განძი — ქართული ხალხური სიმღერა — ჩვენს ხელშია. და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული — მოხვდება ეს სიმდიდრე მუზეუმების სეიფებში თუ განაგრძობს აღორძინებასა და სრულყოფას. ხალხური მუსიკა შეიძლება შევადაროთ ჯაჭვს, რომლის თითო რგოლი — თითო თაობაა!

შენ, ჩვენო ახალგაზრდა მკითხველო, თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე, შეისწავლო და შეიყვარო ჩვენი ერის ეს ფასდაუდებელი საუნჯე, მისი სულიერი და ფიზიკური რაინდობის, სიბრძნისა და სინაზის, სიხარულისა და ტკივილის, ჭირისა და ლხინის, თანამედროვე დიადი ცხოვრების ამსახველი და მაჩვენებელი სარკე, — ჩვენი უბადლო ხალხური მუსიკა!











## ჯელალ-ედდინ რუმი

დიდი სპარსელი პოეტი ჯელალ ედდინ რუმი (1207 — 1278) ცხოვრობდა თურქეთში. მთელს მსოფლიოშია განთქმული მისი „მესნევი", რომელიც ძირითადად ფილოსოფიური მსჯელობებისა და ამა თუ იმ შეხედულების დასამტკიცებლად დაწერილი იგავებისაგან შედგება. ეს იგავები „მესნევიდან" არის თარგმნილი.

# უფლის ნებით მომხდარი

ერთი ქურდი — ვიღაც უცხო
კაცის ბაღში აძვრა ერთხელ,
აუყვა და სულ გაცალა,
რაც კი ესხა ბალი ერთ ხეს.
ბლის პატრონმა დაინახა,
დაუყვირა: — ვინ ხარ მანდო?
— შიში ნუ გაქვს, არხეინად
შეგიძლია ბალი მანდო.
მე ამ ქვეყნად გაჩენილი
ვარ, ბატონო, უფლის ნებით.
უფალმავე გააჩინა,
რაც კი არის ქვეყნად ბლები.
უფლის ნებით ამოვძვერი
ასეთ ხეზე ასე მაღლა
და უფლის ძე ბალს უფლისას
შევექცევი ტკბილად ახლა.
ბლის პატრონმა ბიჭს გასძახა:
— მომიტანე ერთი თოკი.
ამ კაცს უნდა განვუმარტო
უფლის მცნება ზოგი-ზოგი.
ქურდი იგი ხეს მიაბა,
ჩამოვიდა რაკი ხიდან,
მივიდა და ისე ურტყა —
თვლიდა, მაგრამ ვეღარ თვლიდა.
ქურდმა მწარედ იღრიალა
და ბლის პატრონს უთხრა ვიშით:
— რას მიშვები, უფლის მაინც
არა გაქვსო, კაცო, შიში?
ბლის პატრონმა უპასუხა:
— რისი შიში უნდა მქონდეს?
უფლის ჯოხით, უფლის მონას
უფლის ნებით ვცემდე ოდეს.



# ორი მკვლელი



ერთხელ თურმე ავაზაკნი,
ოღუზიანთ თურქთა ტომის,
ერთ დიდ სოფელს თავს დაესხნენ,
გადიხადეს ცხარე ომი.
მყის გაკოჭეს ორი კაცი —
მამულის და ფულის მქონე,
ერთ-ერთს მოკლა დაუპირეს
და საბელი გაუქონეს.
იმ საწყალმა იღრიალა:
— ვაჟკაცებო, გმირნო დიდნო,
უცოდველი სისხლი ჩემი
რისთვის გინდათ კისრად იდოთ!
ჩემი მოკვლა რად დაგჭირდათ,
თქვენი მტრობის არ მაქვს თავი,
ერთი ვინმე კაცი ვარო
ღარიბი და საცოდავი.
— შენი მოკვლა მისთვის გვინდა,
საქმეს ვიზამთ საჩვენოსო,
შენს მეზობელს შევეშინდეს
და ფულები გვაჩვენოსო!
— ისიც ჩემებრ ღარიბია
და რა ფულებს მოგცემთ, ნეტა
— ასეც ამბობს, მაგრამ ვიცით,
რომ მდიდარი არის მეტად.
— თუ ასეა, თქვი, შე კაცო,
რაღა მე მკლავთ, განა არ სჯობს,
რომ ის მოკლათ, მე შევშინდე
და ფულები ჩამოვყაჭო.

სპარსულიდან თარგმნა
მაგალი თოდუაძ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ანატოლი ალექსინი

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

გოგონებმა ხელსახოცებზე და პატარა ნოხებზე ნაირფერი მისალმებები ამოქარგეს. ის იყო, ახალ სახლში ვაპირებდით წასვლას რომ ბიჭები აგვიჯანყდნენ:

— ჩვენს ნამუშევრებს რა ვუყოთ? მარტო გოგონების ნახელავს ხომ არ ვუსახსოვრებთ?

გოგონებმა საპასუხოდ უყიჟინეს:

— ნეტა რას იბღინძებით? ოთახებში ამწეებისა და გლისერების მოდელებს ხომ ვერ დავაწყობთ? ვინ იცის, იქნებ აი, იმ ოთახში მარტოხელა მოხუცმა ქალმა იცხოვროს და თქვენს გლისერს რა თავში იხლის? აი, მაგალითად, სევა კოტლოვის გალიას რა უნდა ვუყოთ? მასაც ხომ არ ვუსახსოვრებთ ვინმეს! წარმოიდგინეთ, რა მოხდება: ადამიანი თავის ახალ ოთახში შედის და რას ხედავს, — შუა ოთახში დგას უშველებელი გალია წარწერით — „ბედნიერ ახალმოსახლეობას გისურვებთ, მეგობრებო!“ სასაცილოა!

გალია სათაგურად გადავაკეთოთ, — მოიფიქრა ვიტია ნემსიყლაპიამ.

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 10.

— როგორ არა გრცხვენია, ვიტია! — აღშფოთდა ნატაშა მაზურინა. — ახალ სახლში თაგვს რა უნდა? თაგვები და ბაღლინჯოები წარსულის გადმონაშთია!

ბიჭებმა თქვეს: სულერთია, ჩვენი საჩუქრების გარეშე საქმე არ გამოვა. გოგონებმა უპასუხეს: რახან ასეა, უთქვენოდაც იოლად გავალთო, ახალ სახლში მარტონი წავალთ და იქაურობას მაინც ჩვენი საჩუქრებით მოვრთავთო. ბიჭებმა თქვეს: სახლის გარშემო ბარიკადებს მოვაწყობთ და სახლში არავის შევუშვებთო. ნატაშა მაზურინა გაცხარდა და გვითხრა, თქვენს სულში ჯერ ისევ წარსულის გადმონაშთი ბინადრობსო.

მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა. მაშინ ალექსანდრე ძუგაევი ფანჯრის რაფაზე აცოცდა, რის ვაივაგლახით სიჩუმე დაამყარა და წინადადება მოგვცა, ერთი დღით გადაგვედო ახალ სახლში საჩუქრების შეტანის „საზეიმო ცერემონიალი“.

— მოდით და, ყველამ ერთად ვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ! — თქვა მან — მთელმა კოლექტივმა იფიქროს.

და ყველანი ძალიან დაფიქრებულები წავედით სახლებში...

—◆—

სევას ძილი გაუტყდა: ფიქრობს, ფიქრობს და ვერ მოუფიქრებია — რით ასიამოვნონ ბიჭებმა ახალმოსახლეებს?! ყოველ დილით, შევა თუ არა კლასში, მერხში შეჰყოფს ხელს და მოელის, რომ იქ დახვდება „შუძ“-ის ბარათი, სადაც იქნება რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოიქცნენ ბიჭები, რა მოიფიქრონ, რა დაახვედრონ ახალმოსახლეებს. მაგრამ ბარათი არ ჩანს. არადა, გოგონებს მუდამ ხატრაბახოდ ექნებათ: აი, ჩვენ დიდებული რამ მოვიფიქრეთ, ბიჭებს კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდათო.

— ტაბურეტები! ტაბურეტები! ტაბურეტები! — აყვირდა ერთ დღეს კლასში სევა. თურმე მას ასეთი იდეა გაუჩნდა: კლასის ბიჭებმა თავიანთ სახელოსნოში დაამზადონ ტაბურეტები, დადგან სამზარეულოებში და დაახვედრონ ახალმოსახლეებს. ეს იდეა ყველას მოეწონა. „რის ბალიშისპირები და რა ხელსახოცები, მთავარია ტაბურეტები!“ — გაიძახოდნენ აღფრთოვანებული ბიჭები. ეს იდეა ძალიან მოეწონა შრომის მასწავლებელსაც, — „ჭკუის კოლოფი ხარო“, უთხრა სევას და ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება აღუთქვა...

ამასობაში, მოვიდა ზამთარიც. ბიჭებს გამოუცხადეს: — ზამთრისთვის რაღაც „ორიგინალური ღონისძიება“ მოიფიქრეთო! ფიქრობს ყველა. ფიქრობს სევაც. არაფერი არ გამოდის... მივა სევა კლასში, შეჰყოფს ხოლმე მერხში ხელს, — არ ჩანს „შუძ“-ის ბარათი. ასეთ დროს ხომ ყოველთვის „გაჭირვების ტალკვესი“ იყო „შუძ“-ის ბარათი! და აი, ერთ დღეს შეხტა სევა ფანჯრის რაფაზე (სევას ერთი ახირებული ჩვევა ჰქონდა: როცა რაიმე „გენიალურის“ მოფიქრება უნდოდა, შეხტებოდა ფანჯრის რაფაზე, მიიდებდა შუბლზე თითს და უსათუოდ გაუჩნდებოდა „ბრწყინავი იდეა“). ჰო, შეხტა რაფაზე და მოიფიქრა: „თოვლი არის? — არის! ყინული არის? — არის! ციგურები არის? — არის! თხილამურებიცა გვაქვს და ციგურებიც!... ყველაფერი გვაქვს, სულო და გულო, რაც გინდა... მოვდგეთ და ვისრიალოთ, ვიციგუროთ, ვიგუნდაოთ!... მეტი „ორიგინალური ღონისძიება“ გაგონილა?...“

— ასეა, ჩემო კარგო, მოინდომე და მოიფიქრე კიდევაც.— ეუბნება აღფრთოვანებული ძუგაევი სევას.

ყველას მოეწონა სევას ეს ორიგინალური იდეა იმის თაობაზე, რომ არ არის საჭირო არავითარი „ორიგინალური იდეა“, თურმე ყველაფერი ასე იოლად შეიძლება მოგვარდეს.

## 12 დეკემბერი

სევას და ვიტიას დადებული აქვთ „უწმინდესი ხელშეკრულება“, რომლის ძალითაც საშინაო წერითს დავალებებს ერთ დღეს ასრულებდა სევა, ხოლო მეორე დღეს — ვიტია, შემდეგ კი... იწერდნენ ერთმანეთისაგან. ასე იყო თითქმის ნახევარ წელიწადს. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი აირ-დაირია: სევამ მიიღო ბარათი, რომელშიც ეწერა:

„ძვირფასო სევა! ვარღვევ ჩვენს „უწმინდეს ხელშეკრულებას“, — დღეიდან საშინაო წერითს დავალებებს მე თვითონ მოვამზადებ. გირჩევ, შენც ასე მოიქცე. ეს აუცილებელია. არ მკითხო — რატომ ვიქცევი ასე, ახლა მაინც ვერაფერს ვერ აგიხსნი. საერთოდ, დღეიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში ხმას ნუ გამცემ. მერე აგიხსნი ყველაფერს.

შ ე ნ ი ე რ თ გ უ ლ ი მ ე გ ო ბ ა რ ი ვ ი ტ ი ა“

სევა გაბრაზდა. წერილი ნაკუწებად აქცია. გადაწყვიტა: „უწმინდესი ხელშეკრულების“ ვერაგულად დარღვევისათვის ვერაგულად ეძია შური ვიტიაზე...

ერთ დღეს ვიტიას დამ, რომელსაც ზედმეტსახელად ჰიკარტს ეძახდნენ, სევას დაურეკა: ვიტიამ გთხოვა — ამოცანების კრებული მათხოვეო (როგორც იცით, სევა და ვიტია ერთ სახლში ცხოვრობდნენ და ამოცანების ერთი კრებულით სარგებლობდნენ).

სევამ ჰიკარტს უთხრა: ამოცანების კრებული მე მჭირდება, სამაგიეროდ ამოხსნილ ამოცანებს გაგატანო. და მართლაც გაატანა, მაგრამ ვაი ასეთ.გატანებას: ამოცანების კითხვებზე სულ ალთა-ბალთა, სასაცილო პასუხები გასცა. სევას იმედი ჰქონდა, რომ ვიტია ცდუნებას ვერ გაუძლებდა, აბდა-უბდა პასუხებს გადაიწერდა. მეორე დღეს მთელი კლასის სასაცილო გახდებოდა და ერთ კაი უშველებელ ორიანსაც ზურგზე მიიკერებდა...

## 14 დეკემბერი

სევა ძალიან წუხს: „რა მოხდება ხვალ? რა დღეში ჩავარდება ვიტია? გადაწყვიტა: გაკვეთილის დაწყებამდე ყველაფერი გულახდილად უთხრას და არ ჩააგდოს სასაცილო მდგომარეობაში. მაგრამ, დახეთ უბედურებას: ვიტიამ მხოლოდ ერთი ფეხით შეასწრო მასწავლებელს კლასში და სევამ ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა. მასწავლებელმა ვიტია გაიძახა. სევამ მიაწოდა თავისი რვეული, მაგრამ ვიტიამ ხელი აუკრა და დაიწყო პასუხის გაცემა ამოცანის კითხვებზე. სევა შეეცადა — ეკარნახა რამე, მასწავლებელმა „დაიჭირა“ და გარეთ გააბრძანა.

მოხდა სრულიად მოულოდნელი და საოცარი რამ: ვიტიამ შესანიშნავად უპასუხა.

შესვენებისას ვიტია და სევა ერთმანეთს გამოელაპარაკნენ... გამოირკვა, რომ ვიღაცამ ვიტიას მაგიერ სევას და სევას მაგიერ ვიტიას მისწერა წერილები, სადაც ეწერა: „დღეიდან ჩვენ თვითონ, დამოუკიდებლად ამოვხსნათ ამოცანებიო“. ვიტიასაც მოუნდომებია და ამოცანის კითხვებზე სწორად გაუცია პასუხი.

## 17 დეკემბერი

დღეს რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ — ალექსანდრე ძუგაევმა დამავალა — ვალოდია კატალკინთან შემეარა სახლში და არითმეტიკაში დავხმარებოდი. ვალოდია, აგერ მთელი ორი კვირაა სკოლაში არ დადის. რაღაც ძალიან უცნაური ავადმყოფობა სჭირს — შუა ყურის ანთება. აქამდე მეგონა, რომ ადამიანს მხოლოდ ორი ყური ჰქონდა და ორივე განაპირა — მარჯვენა და მარცხენა. მაგრამ, ნუ იტყვით და, თურმე მესამე ყურიც ჰქონია — შუა ყური. ჰოდა, აი, ვალოდიას სწორედ ეს შუა ყური სტკივა...



დღეს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, კატალკინისკენ გავეშურე.

ვალოდია კატალკინის სახლის სახურავზე რაღაცნაირი კრენდელებია დამაგრებული. მათ თურმე, როგორც გავიგე, ვენზელებს ეძახიან, რაც ერთმანეთში მხატვრულად გადახლართულ ასოებს ნიშნავს. მართლაც, კარგად თუ დააკვირდებით, ამ ვენზელებში ორი ასოს გარჩევა შეიძლება — გარკვევით მოჩანს „მ“ და „კ“. ეს ალბათ იმ გრაფის ან თავადის ინიციალებია, რომელიც ოდესღაც ამ სახლში ცხოვრობდა.

მესერის მხრიდან ბილიკს ნათელი და ბნელი სწორი ზოლები ეცემოდნენ. ამ ზოლებს გავყევი და მალე ჭიშკრამდე მივედი. მაგრამ კარის გაღება დავაპირე თუ არა, უცებ მესერს მოვწყდი და ნამქერში ლამის თავდაყირა გადავეშვი. საქმე იმაშია, რომ ეზოში უზარმაზარი რუხთეთრი გერმანული მეძებარი ძაღლი იდგა. ძაღლები, საერთოდ, არ მიყვარს. ალბათ მასაც არ მოვეწონე, ხმამაღლა აყეფდა და პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა.



ძაღლი ბოძზე იყო მიბმული, მაგრამ ჯაჭვით კი არა, რაღაცნაირი, არც თუ ისე საიმედო, თოკით. თოკი ლარივით იჭიმებოდა. ვცახცახებდი და ვფიქრობდი, აგერ-აგერ გაწყდება-მეთქი. უნდა ვაღიარო, რომ ბავშვობიდანვე დაშინებული ვარ და წელანდელი თქმისა არ იყოს, საერთოდ ვერიდები ძაღლებს. საამისოდ მიზეზიცა მაქვს: კარგად მახსოვს, საბავშვო ბაღში რომ დავდიოდი, აი, სწორედ ასეთმა უშველებელმა რუხმა გერმანულმა მეძებარმა ფეხზე თათი დამკრა და მერე მთელი ერთი თვე ნემსებს მიკეთებდნენ. იმდენი ნემსი გამიკეთეს, რომ მუცელზე ადგილი აღარ დამრჩა...

„უმჯობესია სხვა ჭიშკარი მოვძებნო-მეთქი“, — გავიფიქრე და მესერს გარშემო შემოვუარე, მაგრამ შესასვლელს ვერსად ვერ მივაგენი. რა უნდა მექნა? ისევ ქუჩიდან დაძახება ვამჯობინე. თავგამოდებით ვყვიროდი. მაგრამ ძაღლიც სწორედ ამ დროს ყეფდა. ქარიც ხმას აყოლებდა — ვალოდიამ ჩემი ძახილი ვერ გაიგო.

ცოტა კიდევ გავიარე, მესერს ავუარ-ჩავუარე. მომშივდა, შემცივდა და სახლისკენ მოვუსვი. ვალოდია სკოლაში ხვალაც ვერ მოვა, ამხანაგური, პიონერული დახმარების აღმოჩენას ხვალაც თავისუფლად მოვასწრებ, ძაღლი კი ვინ იცის, იქნებ ჯაჭვით უფრო საიმედოდ დააბან. ერთი სიტყვით, ვალოდიას ტელეფონით დავურეკავ და ვთხოვ, რაც შეიძლება მაგრად დააბან.

## 18 დეკემბერი

სტეფანე პეტრეს ძე ცუდად ხედავს, სამაგიეროდ მას ძალიან კარგი სმენა აქვს. აი, როცა სადარბაზო შესასვლელის კარები იღება და დერეფანში ვინმე შემოდის, სტეფანე პეტრეს ძე მაშინვე უშეცდომოდ გეტყვით, ვინ მოდის.

დღეს მასთან შევედი. სტეფანე პეტრეს ძემ მკითხა:

— რამ დაგაყოვნა სევა? დერეფანში შენი ფეხის ხმა ხუთი წუთის წინ გავიგონე და გავიფიქრე, ოთახში რატომ არ შემოდის-მეთქი.

— თქვენმა მეზობელმა მთხოვა, დამეხმარეო. ქურაზე ქვაბი დავდგით, ალბათ თეთრეული უნდა გამოხარშოს...

— თეთრეული უნდა გამოხარშოს? — სტეფანე პეტრეს ძემ სათვალეები შუბლზე აიწია და თვალები ეშმაკურად მოჭუტა. — მე კი რატომღაც, მომეჩვენა, თითქოს კარებთან ძაღლი წკმუტუნებდა...

შევკრთი. ძაღლი? სტეფანე პეტრეს ძეს ეს შემთხვევით არ უთქვამს. მაგრამ ძაღლის ამბავი საიდან იცის? საიდან? ჩემს გვერდით ხომ მაშინ არავინ მდგარა, რამე რომ დაენახა? ჰოდა, აბა საიდან იცის? ისიც კი იცის, რომ ძაღლი ჯაჭვით კი არა, ჩვეულებრივი თოკით იყო დაბმული. პირდაპირ სასწაულია! დღე ისე არ გაივლის, რაიმე სასწაული რომ არ შემემთხვეს. აი, ვცხოვრობ-მეთქი მე უნდა ვთქვა: სულ ამ საოცარ გამოცანებზე ვიმტვრევ თავს და მაინც ვერაფერი ვერ გამირკვევია!..

სწორედ ამ დროს დერეფანში კარები გაჯახუნდა.

— ჩვენი „მთავარპროდუქტი“ მოვიდა, — მაშინვე თქვა სტეფანე პეტრეს ძემ. მან ვიტიას მეტსახელად „მთავარპროდუქტი“ შეარქვა.

„საინტერესოა ამ აივნიდან ვალოდიას სახლი რომ არ მოჩანს? — ვფიქრობდი გუნებაში, — იქნება სტეფანე პეტრეს ძემ აქედან დაინახა ყველაფერი“, მაგრამ უცებ გამახსენდა — სტეფანე პეტრეს ძე ხომ თითქმის ვერა ხედავს, იქნებ სხვამ დამინახა და მერე მას უამბო სუყველაფერი? ჰა? არა არა. აივანი სულ სხვა მხარეს გადის. კაცმა რომ თქვას ვენზელ-კრენდელებით მორთული რამდენიმე ძველისძველი დაბალი შენობა ამ მხარესაც მოჩანდა, მაგრამ სახელდობრ ის სახლი, რომლის გარშემოც თოკით დაბმული ძაღლი დარბოდა, არ ჩანდა.

ოთახში შევბრუნდი. თოვლის თეთრი ხალიჩის შემდეგ დიდხანს ვიწმენდდი ფეხს იატაკზე დაფენილ, ჩვეულებრივი ქსოვილის ჭრელ ხალიჩაზე.

მაგიდაზე ნარინჯისფერი ნაფცქვენები ეყარა, — ვიტია მადიანად შეექცეოდა მანდარინს.

— სევა, აივანზე ხომ არ გასულხარ? — მკითხა სტეფანე პეტრეს ძემ.

— დიახ... სუფთა ჰაერზე გავიელი-მეთქი და... იცით, დღეს შესანიშნავი მზიანი ამინდია!



— ყინვა და მზე! — სტეფანე პეტრეს ძემ ღრმად ჩაისუნთქა ცივი ჰაერის ნაკადი, რომელიც აივნის გაღებული კარებიდან გაშმაგებით შემოიჭრა ოთახში.

— აბა, გავიქეცი! — მანდარინის ღეჭვა დაამთავრა და გვაცნობა ვიტიამ. — ქათამი მაქვს საყიდელი!

ვიტიას ძალიან მოსწონდა საყიდლებზე სიარული, თუმცა ამის შემდეგ ანგარიში უნდა ჩაებარებინა ძია სტეფანეს მკაცრი მეზობლისათვის, რომელიც ვიტიას „მთავარპროდუქტის“ ნაცვლად „მთავარხილს“ ეძახდა. მეზობელი ქალი საყვედურობდა ვიტიას: „ვერ ეწევი ეკონომიას. ფულს ქარს ატან და საწყალ სტეფანე პეტრეს ძეს სულ მალე გააღატაკებო“.

— ბაზარში გამყიდველებს ყოველთვის ვევაჭრები და არასდროს არ ვუთმობ ხოლმე! — ამაყად გაიძახოდა ვიტია. — ძუნწობა კი არ შეგვიძლია. ყველაფერს საუკეთესოს ვყიდულობთ: თუ შეფობაა, შეფობა იყოს!

აი, ახლაც, სადღაც ყური მოუკრავს, დიეტურ სასადილოში ქათმებს მოიტანენო, და საყიდლად გარბოდა.

—რამდენ კვერცხს დადებს ქათამი პირველ დღეს?— სიცილით ვკითხე მე.

ვიტია აიმრზა.

— ამმას არრასდროს არრრ... დავივიწყებ...

ვიტია კარებისაკენ გაემართა, მაგრამ ძია სტეფანემ შეაჩერა.

— დღეისათვის ეს ნავაჭრიც გვეყოფა, ვიტია. გაიხადე და, თუ დრო გაქვს, დღევანდელი გაზეთები წამიკითხე, გეთაყვა.

წეღან, აივანზე უქუდოდ და უპალტოოდ რომ გავედი, სულაც არ შემცივნია. ახლა კი ტანში უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა: „ეს როგორ? გაზეთებს ვიტია წაუკითხავს? მერე, მე? გაზეთის კითხვის შეფი ხომ მე ვარ?“

— სევა.. სამწუხაროდ დღეს დაკავებულია, — განაგრძო სტეფანე პეტრეს ძემ. — ვალოდია მატალკინთან უნდა წავიდეს და, თუ არ ვცდები, მგონი არითმეტიკაში უნდა დაეხმაროს.

— მატალკინთან კი არა, კატალკინთან, — წყნარად შევუსწორე მე. გუნებაში კი გავიფიქრე: „თვითონა ვარ მატალკინი, გუშინ ძაღლმა რომ შემაშინა და ისე სამარცხვინოდ ავითესე...“

— სიტყვამ მოიტანა და... — სტეფანე პეტრეს ძემ სათვალეები ისევ შუბლზე აიწია და ეშმაკურად მოჭუტა თვალები. — სიტყვამ მოიტანა და იმ მატალკინ-კატალკინის ძაღლი თურმე სულ ტყუილ-უბრალოდ იყეფება, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ხორცს კბილსაც კი არ აკარებს, აი... როცა სადილს მიუტანენ.

— სტეფანე პეტრეს ძევ, საიდან იცით ყველაფერი ეს, — ძაღლისა და კატალკინის ამბავიც? — წყნარად ვიკითხე მე.

სტეფანე პეტრეს ძემ თვალი ჩამიკრა და თავისი ყრუ ბარიტონით ხალისიანად წაიღიღინა ოპერა „პიკის ქალის“ ერთი ცნობილი არიის მოტივზე:

— სამი ასო, სამი ასო, სამი ასო!..

— რომელი სამი ასო? — თავდაპირველად ვერაფერი გავიგე, მაგრამ დერეფანში ყველაფერს მივხვდი. „შუძ“! აი, ეს სამი ასო!...

## 21 დეკემბერი

ვინ არის ეს „შუძ“? მთელი დღეები დილიდან საღამომდე ამაზე ვფიქრობდი. ზოგჯერ ღამითაც ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერი გამეგო.

ერთხელ საშინელი გოლიათი დამესიზმრა, სახეზე შავი ნიღაბი აეფარებინა, შავი ხელთათმანები იდაყვამდე აეწია. მერხში ნამდვილ, დიახ ნამდვილ და ცოცხალ ნიანგს მისვამდა. გაქცევა დავაპირე, მაგრამ როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, ფეხები ვერ დავიმორჩილე. ყურში კი რატომღაც ჩვენი ანა რუდოლფის ასულის მშვიდზე-მშვიდი ხმა ჩამესმოდა:

„როგორ იქნება ნიანგი გერმანულად, კოტლოვ? არ იცით? ასეც ვიცოდი. დიახ, დარწმუნებული ვიყავი. რომ არ გეცოდინებოდა. თუ ძნელი არ იქნება, გეთაყვა, დაიმახსოვრე, რომ ნიანგს გერმანულად ჰქვია: „შუძ“, „შუძ“...“

როცა ამ საშინელებიდან გამოვერკვიე, პირველი, რაც დავინახე, იყო დიმას შეშფოთებული და, ცოტა არ იყოს უცნაური სახე, რადგან სათვალეები არ ეკეთა.

— ავად ხომ არა ხარ? რა მოგდის? — მკითხა გაოცებულმა.

მაინც, რა უცნაური ვინმეა ეს ჩვენი დიმა: ხან, — საწოლს დერეფანში გაგიგდებო, — მემუქრება, ხან კი ჩემი ჯანმრთელობა აფიქრებს. ეჰ, რას იზამ, ყოველთვის ასეა: ხან კეთილი და ძალიან საყვარელია, ხან კი ბრაზობს და ყველაფერზე მედავება!

ეჰ, რომ იცოდეს, რა დღეშია მისი უმცროსი ძმა... რომ იცოდეს!

მაინც, რა უცნაურად იქცევა ეს ვიღაც „შუძ“: ხან მეხმარება, ნაირ-ნაირ საინტერესო აზრებს მკარნახობს,

ხან კი ისეთ საქმეებში ერევა, რომელიც მას სულაც არ ეხება, და ჩემს საუკეთესო გეგმებს ფუშავს ხოლმე. ახლა მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ბორკა-ნიჰილისტი მუხინას მერხიდან ჩემს მერხში სწორედ მან გადმოსვა, მე და ვიტიას ერთნაირი წერილებიც მან მოგვწერა, სამი დღე გაბუტულებივით რომ დავდიოდით, ესეც მაგის ამბავია. ძია სტეფანესაც მან აცნობა ძაღლის ამბავი, რომელიც „თურმე სულ ტყუილ-უბრალოდ იყეფება". მოკლედ, ყველაფერში მაგ „შუძ"-ის ხელი ურევია!..

მაგრამ, ვინ არის ეს „შუძ"? ვინ არის?არ ვიცი. არ ვიცი და. დღედაღამე ამაზე ვფიქრობ. საქმე იქამდეც კი მივიდა. რომ მასზე ფიქრით სულ გამოვჩერჩეტდი და მასწავლებელს ყურს აღარ ვუგდებ. აი გუშინწინ, მაგალითად, ისტორიის მასწავლებელმა მითხრა:

— კოტლოვ, დაასრულე ჩემი აზრი!

მაგრამ რა აზრი გამეგრძელებინა, როცა დასაწყისში ყური არ მიგდია?

და აი, იმ დღეს მე და ვიტიამ სააბაზანოში სპეციალური საბჭო მოვიწვიეთ. მტკიცედ გადავწყვიტეთ გაგვერკვია, ვინ იყო ეს „შუძ" და. რატომ ერეოდა ჩვენს პირად საქმეებში.

— უმჯობესი იქნება, თუ სულაც არ ჩაერევა ჩვენს საქმეებში! — მტკიცედ განვაცხადე მე. — კეთილ ინებოს, ნურც დაგვეხმარება და გეგმებსაც ნუ ჩაგვიფუშავს!

ვიტიამ თქვა, იქნებ ამ მეტსახელით ერთი პიროვნება კი არა, რომელიმე საიდუმლო საზოგადოება ან კავშირი ინილბებაო. ერთი სიტყვით, ეს რომელიმე ორგანიზაციაა, „შუძ" კი მისი შემოკლებული დასახელებააო.

— მოდი, იქნებ გავშიფროთ კიდეც, — ვთქვი მე.

ჩვენ ოთახის სხვადასხვა კუთხეში დავჯექით და ღრმად ჩავფიქრდით. დროდადრო სულელებივით წამოვცვივდებოდით და წამოვიძახებდით ხოლმე:

— „შენი უსაქმური ძმაკაცები!"

— „შოკოლადებს ურიგებენ ძაღლებს!"

მაგრამ მერე გაგვახსენდა, რომ „შუძ"-ის ზოგიერთი წინადადება ძალიან საქმიანი და სასარგებლო იყო. ჰოდა, „უსაქმურები" და სხვა ამდაგვარი რამ რაღა შუაშია?

ჩვენს მეზობელს — კალერია ვლადიმერის ასულს ძალიან უყვარს საშინელი თავგადასავლების მაძებრებზე დაწერილი წიგნების კითხვა. ეშმაკმა იცის, სად შოულობს ამ ძველისძველ გაცრეცილ წიგნებს. კალერია ვლადიმერის ასული ყველგან დიდი გატაცებით კითხულობს: თავის ოთახში, სამზარეულოში, გაზქურასთან, როცა სადილს აკეთებს და სააბაზანოშიც კი, როცა ბანაობს. მეუღლე, აგრონომი კლიაჩინი, როგორც კი საბაზანოში შესულს დაინახავს, დერეფნიდან მიაძახებს ხოლმე:

— კალერია, სააბაზანოში კითხვა არ გაბედო, თორემ შიშისაგან გული გაგისკდება!

— დიახ, ოდესმე მართლაც გამისკდება გული, — ამბობს ხოლმე კალერია ვლადიმერის ასული. მაგრამ ცხელი წყლის კი არა, ამ მწვავე და მიმზიდველი სიუჟეტების ბრალი იქნება ყველაფერი! მერწმუნეთ, ზოგჯერ ისიც კი მეჩვენება, თითქოს ნაირ-ნაირ შერლოკ ჰოლმსებს ვესაუბრები და მათთან ერთად ცხელ გროგსაც კი მივირთმევ! ღმერთმანი, უწინ უკეთესად სწერდნენ!

მე არც კი მჯერა, თითქოს კალერია ვლადიმერის ასულს მართლაც უნდოდა მაძებრებთან გასაუბრება. ის ხომ საშინელი მშიშარაა! ამ ძველისძველმა რომანებმა ისე შეაშინეს, რომ სამზარეულოში ოდნავი ფაჩუნიც კი აკრთობს და მაშინათვე გულზე იტაცებს ხოლმე ხელს. ღამით კი ოთახის კარებს ერთბაშად სამი გასაღებით კეტავს!

ახლახანს კალერია ვლადიმერის ასულმა ხმა გაავრცელა, თითქოს სხვენზე, რომელიც პირდაპირ მისი ოთახის თავზეა, „რაღაც გაუგებარი რამ ხდება".

— იქ ვიღაც მოქმედებს! — განაცხადა კალერია ვლადიმერის ასულმა, — ყოველ ღამე მესმის ვიღაცის ხვნეშა და ძახილი, თითქოს შველას თხოულობდეს...

— მერე, დასახმარებლად რატომ არ გარბიხართ? — გაუკვირდა მოხუც დეიდა პაშას.

— ქმარი მაკავებს ხოლმე, თორემ იცოცხლე...

— თქვენ თუ არ გიშვებთ, მაშინ თვითონ ავიდეს,— არ ეშვებოდა დეიდა პაშა. თუ არადა, მილიციაში მაინც დარეკოს...

ერთი სიტყვით, კალერია ვლადიმერის ასულმა მაინც მიაღწია იმას, რომ მეზობლებმა სხვენზე სარეცხის გაფენა შეწყვიტეს. ერთმა მეზობელმა (მას თურმე სხვენზე მჟავე კიტრის პატარა კასრი უდგას) ისიც კი თქვა, რახან ასეა, ჩემი კიტრი სულაც რომ დალპეს სხვენზე მაინც არ ავალო!

მეზობლებს გუნებაში დავცინოდი... მაგრამ მხოლოდ დღევანდლამდე. დღეს კი, ზუსტად 3 საათსა და 20 წუთზე, ჩემი საქმეც ცუდად წავიდა..

დღეს, ფოსტით, შეკვეთილი წერილი მივიღე. მისამართი და თვითონ წერილიც მანქანაზე იყო დაბეჭდილი. დავხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ წერილი ისევ იმ მანქანაზე დაებეჭდათ. მე ამ შრიფტს ახლა ათასი სხვა მანქანის შრიფტიდან გავარჩევ: ასო „ლ" ყოველთვის მკრთალი გამოდის, ძახილის ნიშანს კი რაღაც თავისებური მოხაზულობა აქვს.



აი, რა ეწერა იმ ბარათში:

„როგორც კი დაბნელდება, მაშინვე სხვენზე ახვალ. იქ, მარცხენა შორეულ კუთხეში, კომბოსტოს კასრის ქვეშ დევს შენთვის ფრიად მნიშვნელოვანი ბარათი. მასში ყველა ჩვენი საიდუმლოებაა ახსნილი. „შუძ“.

არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ რატომღაც მაშინვე სამზარეულოში შევედი და კალერია ვლადიმერის ასულს ვკითხე, სხვენიდან როგორი ხმები მოისმის-მეთქი. კალერია ვლადიმერის ასული უცებ გამხიარულდა და სხაპასხუპით მიამბო ყველაფერი, რაც კი ამის თაობაზე იცოდა: თურმე იქიდან ღამ-ღამობით რაღაც საეჭვო ხმაური და შეძახილები ისმის, წუხელ ღამით კი საკუთარი თვალით უნახავს, სხვენიდან როგორ ჩამოუშვეს რამდენიმე თოკი. ერთ-ერთი თოკი თურმე მისი ფანჯრის რაფასაც შეეხო და კინაღამ გადმოაგდო კარაქით სავსე ქილა, რომელიც რაფაზე იდგა...

ამ ნაამბობით „გამხნევებული“ ოთახში შევბრუნდი. მომეჩვენა თითქოს ფანჯრებიდან სიცივე შემოდიოდა და ოთახში ციოდა. სარკმელი მჭიდროდ მივხურე, მერე გათბობაც შევამოწმე — მილები მეტისმეტად გადახურებული იყო. შეცბუნებულმა უნებლიედ გავიფიქრე: „ნუთუ მეშინია? ნუთუ მართლა მეშინია? არა, არა, მე ხომ მშიშარა არა ვარ! კალერია ვლადიმერის ასულს კი არა ვგავარ, რაღაც სისულელეების რომ მეშინოდეს! მაგრამ მაინც საინტერესოა. სხვენიდან თოკები ვის უნდა ჩამოეშვა? რაში სჭირდებოდა ყველაფერი ეს?

მე უკვე მეათედ გადავიკითხე წერილი, რომელსაც ისევე ის საიდუმლო „შუძ“ აწერდა ხელს. მგონი დავიზეპირე კიდეც! „ვიტია ხომ არ წავიყვანო? — ვფიქრობდი მე. — მათთან, ქვედა სართულზე, არ ისმის, სხვენზე „როგორ მოქმედებენ“. ჰოდა, ვიტიასაც არაფერი არ ეცოდინება და, ცხადია, შიშითაც არ შეეშინდება!“ თითქოს ყველაფერი აეწყო, მაგრამ ვიტიას წაყვანა მაინც არ შეიძლებოდა — ჯერ ერთი, წერილში გარკვევით ეწერა, მარტოკა ამოდიო, მეორეც, ვიტიას ვირუსული გრიპი



ჰქონდა. ვირუსებთან კი, მოგეხსენებათ, საქმის დაჭერა არც თუ ისე სასიამოვნოა!

„იქნებ სხვენზე სულაც არ ავიდე? — გავიფიქრე, მაგრამ მაშინვე სტეფანე პეტრეს ძე მომაგონდა და გადავიფიქრე. — არა, არაფრით არ შეიძლება! „შუძ“-მა უკვე სტეფანე პეტრეს ძემდე მიაღწია და სხვენზე რომ არ ავიდე, აუცილებლად აცნობებს, რა მშიშარაცა ვარ. მერე სტეფანე პეტრეს ძის დაცინვას რა გაუძლებს? ჯერ ისიც ვერ მომინელებია, იმ გერმანული მეძებრის გამო რომ დამცინოდა!“

ზამთარში ადრე ღამდება ხოლმე. უკვე ხუთ საათზე ფანჯრებში სინათლეები ენთო. მე კი განგებ არ ვანთებდი სინათლეს. მინდოდა თავი დამერწმუნებინა იმაში, რომ ჯერ კიდევ არ დაღამებულა. სინათლის ანთებას ვაგვიანებდი, მაგრამ როდემდე უნდა გამეგრძელებინა ასე: მალე ალბათ დედაჩემიც დაბრუნდებოდა სამსახურიდან, მე კი არცერთი გაკვეთილი არა მქონდა მზად, სულ სხვენზე ვფიქრობდი. ჩვენებს ეს ამბავი რომ გაეგოთ, სხვენს ვინა ჩიოდა, დერეფანშიც არ გამიშვებდნენ. ერთი სიტყვით, რაღაც უნდა გადამეწყვიტა....

და გადავწყვიტე კიდეც!

სამზარეულოდან უკანა კარებით გავედი. კარები, ყოველი შემთხვევისათვის, გაღებული დავტოვე: თუ რამე შემემთხვევა, ვიყვირებ და ალბათ მომეშველებიან-მეთქი.

სხვენზე ვიწრო, დახვეული კიბე ადიოდა. კიბეს ფრთხილად ავყევი. ყოველ წუთს რაღაც ძველისძველ ქილებს, ვედროებს და ფიცრებს ვედებოდი და ისინი საშინელი ხმაურით მიქროდნენ ქვევით. ერთხელ კინაღამ შევყვირე კიდეც: ფეხქვეშ რაღაც რბილი და, როგორც უცებ მომეჩვენა, თბილი, ცოცხალი საგანი ვიგრძენი... ამ რბილ რაღაცას კანკალით შევახე ხელი და მხოლოდ ამის შემდეგ დავმშვიდდი: თურმე თბილი ქურქის სახელოსთვის დამიბიჯებია ფეხი. როგორ აღმოჩნდა აქ ეს სახელო? ვინ იცის, იქნებ ეს არის ყველაფერი, რაც იმ გულადიდან დარჩა, რომელიც სხვენზე ჩემამდე ამოვიდა? ჯერ ეს პირველი შიში არ გამნელებოდა და, უცებ ვილაცის ჩექმაზე კინაღამ ცხვირპირი წავიმტვრიე. ყველაფერი გასაგებია: ეს ჩექმაც ალბათ იმ უგნური გულადის ნაქონია...

სწორედ ამ დროს გაისმა კალერია ვლადიმერის ასულის მწივანა ხმა:

—რა უმსაგვსობაა! კარებს არც კი გამოიხურავენ! თითქოს ივლისის მზე აცხუნებდეს!

კარები ხმაურით დაიხურა და კიბეზე უცებ ჩამობნელდა.

საშინელმა შიშმა შემიპყრო. გული აჩქარებით მიცემდა, მაგრამ სხვა არავითარი გამოსავალი არ ჩანდა, სულ წინ, ან უფრო სწორად რომ ვთქვა, მაღლა-მაღლა უნდა მევლო. ნაბიჯს ავუჩქარე — მოხდეს, რაც მოსახდენია!

დაბალ თაღებს შორის ნესტის სუნი ტრიალებდა. ჩატეხილ ფანჯარაში ქარი უბერავდა და უხვად ყრიდა თოვლის პაწაწინა ფიფქებს. უცებ შემზარავად წამოვიყვირე: ჩემგან ხელმარჯვნივ რაღაც თეთრი სუდარა ირხეოდა. თვალებზე ხელი ავიფარე და სუდარისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. თვალები რომ გავახილე, მოულოდნელობისაგან კინაღამ სიცილი წამსკდა: თოკზე ვილაცის ღამის პერანგი გადაეკიდებინათ. ალბათ ჩვენი სახლის ყველა ბინადარმა ჯერ კიდევ არ იცოდა „სხვენზე მომხდარ საშინელ ამბებზე“ და გარეცხილ თეთრეულს გასაშრობად ისევ ისე სხვენზე ჰფენდა

აქ ამოსვლისა ქალებს თუ არ ეშინიათ, მე — მამაკაცს რაღასი უნდა მეშინოდეს-მეთქი, გავიფიქრე და მარცხენა შორეული კუთხისაკენ თამამად გავემართე. სხვენზე ბნელოდა და ხელები წინ გავიშვირე, რომ რომელიმე ბოძს შუბლით არ მივსკდომოდი.

მოულოდნელად ჩემი ხელი რაღაც ცივსა და სველს შეეხო. კასრი! აი, ის კასრი, რომელიც კალერია ვლადიმერის ასულის იმ საშინელი მოჩვენებების გამო ხელუხლებლად უნდა იდგეს ამ ბნელ კუნჭულში! აი, სწორედ ამ კასრის ქვეშ უნდა იყოს ბარათი. დავიხარე, იატაკზე ხელი მოვაფათურე და მაშინვე მივაგენი კონვერტს, რომელიც კასრის ქვეშ იდო. კონვერტი ფრთხილად გამოვაძვრე და მინდოდა მაშინვე გამეხსნა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან ირგვლივ სიბნელე იყო და კონვერტთან ერთად შეიძლებოდა შემთხვევით გამეხია წერილიც, რომელშიც „ყველა საიდუმლო“ იყო ახსნილი.

მაშინვე ჩატეხილი ფანჯრისაკენ გავემართე. ფანჯარასთან ციოდა, მაგრამ ისე ვიყავი აღელვებული, რომ ვერც სიცივეს ვგრძნობდი და ვერც თოვლის ფიფქებს, რომლებიც სახეზე მედებოდნენ და მაშინვე დნებოდნენ. კონვერტზე, ნაბეჭდი ასოებით კი არა, ჩემთვის როგორღაც ძალიან კარგად ნაცნობი ხელით ეწერა: „სევა კოტლოვს — პირადად“.

კონვერტი გავხსენი და სუნთქვაშეკრულმა წავიკითხე:

„შენ, კოტლოვ, როგორც ჩანს, არც ისეთი მშიშარა ყოფილხარ! მე კი რატომღაც ვფიქრობდი, რომ აქ ამოსვლას ვერ გაბედავდი! კარგი, რახან ამჯერად მე შევცდი ჩავთვალოთ, რომ ძაღლის ამბავი უბრალო შემთხვევითობა იყო.

უმცროსო კოტლოვ, შენი დღევანდელი სიმამაცისათვის საჩუქარი გერგება! ჰოდა, გაგიმჟღავნებ ყველა საიდუმლოს, რომელმაც ასე აგაფორიაქა და კინაღამ ნევროპათოლოგთანაც მიგიყვანა. ეს უკვე მეტისმეტი იყო და ამიტომ მეტს აღარ გაგაწვალებ!

ის იდუმალებით მოცული სამი ასო — „შუძ“ — სულაც არ არის რომელიმე დაწესებულების დასახელება ან რომელიმე შენი ამხანაგის ინიციალები. შენ მათზე უსამართლოდა ხარ განაწყენებული, მათ ხომ შენთვის კარგის მეტი არაფერი სწადიათ! ერთი სიტყვით, „შუძ“ ნიშნავს —„შენი უფროსი ძმა“. მაგრამ, რადგან შენ ერთადერთი ძმა გყავს — გამოდის, რომ ეს სწორედ მე ვარ — დიმა!

როცა შენ და ვიტია თავს იმტვრევდით და ამ საიდუმლო ასოების გაშიფვრას ცდილობდით, შემთხვევით წამოიძახეთ: „შორეული უჩინარის ძახილი“. კაცმა რომ სთქვას, ამ ასოების გაშიფვრა ასეც შეიძლებოდა. მე ხომ ყოველთვის, როცა შენ გზიდან გადაუხვევდი და დახმარება გჭირდებოდა, მართლაც შორეული უჩინარივით გეძახოდი ხოლმე — ვცდილობდი, შენთვის მეგობრული ხმა მომეწვდინა.

დიახ, შენს მერხში სწორედ მე შევსვი ზღარბი. ვიტიას საფოსტო ყუთში ამოცანების სწორი პასუხებიც მე ჩავუგდე, ის წერილებიც მე მოგწერეთ. როგორც ხედავ, მე ვცდილობდი შენი ყველა ცუდი და უსამართლო გეგმის ჩაშლას!

რა თქმა უნდა, სტეფანე პეტრეს ძის ასტრონომიით დაინტერესებული მეზობელიც მე ვარ. სტეფანე პეტრეს ძეს მე ვთხოვე ჭოგრიტი და მამას დახმარებით ბარათთან ერთად გამოგიგზავნე... ჰო, მართლა, როგორ წავიდა იმ ღამით თქვენი ამბავი, დაინახეთ თუ არა თანამგზავრი? შესვენებაზეც, შენ რომ სასაუზმოდ გარბოდი, მერხში გიდებდი ბარათებს სხვადასხვა წინადადებებით და რჩევით. გამოდის, რომ ხელის შეშლასთან ერთად ცოტათი გეხმარებოდი კიდეც. დიახ, ვცდილობდი დაგხმარებოდი ყველა კარგი, სასარგებლო ჩანაფიქრისა და გეგმის განხორციელებაში.

ახლა ასახსნელი რჩება ყველაზე მთავარი რამ — წინასწარ როგორ ვიგებდი შენს ყველა ჩანაფიქრს. სულ უბრალოდ: შენს დღიურებს ვკითხულობდი! გახსოვს, თვითონვე მთხოვე, ხანდახან ჩემი დღიურები წაიკითხე და შეამოწმე, სწორედ ვწერ თუ არაო. ხომ არ დაგავიწყდა? შენც ხომ ხშირად კითხულობდი ჩემს დღიურებს! მაგრამ ჩემი გათამაშება, რატომღაც, მაინც ვერ მოიფიქრე, თუმცა ზოგიერთები „უდიდეს კომბინატორსაც“ კი გეძახიან! ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ ეს პატარა გათამაშება რაიმე სარგებლობას მოგიტანს.

ჲი, ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა.

„შუძ“-ესეიგი „შენი უფროსი ძმა“.

ხედავთ, რაში ყოფილა საქმე?!

ეჰ, რაც იყო, იყო. დიმა დღეიდან ვერაფერს ვერ გაიგებს: ამის შემდეგ დღიურებს მაგიდაზე კი არ დავდებ, სადმე უფრო საიმედო და მოხერხებულ ადგილზე გადავმალავ. მეყო, რაც გამათამაშეს! საკმარისია!...

## 28 დეკემბერი

დღიურის წერას დღეს ვამთავრებ. ეს თურმე ძალიან სახიფათო საქმე ყოფილა: ყველას შეუძლია გაიგოს ჩემი აზრები შეიტყოს ყველაფერი, რაც კი გამიკეთებია. არ მინდა, არა!

ეს დღიური დიდი ხნის მერე ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა რომ წაიკითხონ, ხომ იტყვიან, — ხედავთ, თურმე ბავშვობაში მამა (ან ბაბუა!) რა საქმეებს ატრიალებდაო! მერე თვითონაც დაიწყებენ ასეთი საქმეების „დატრიალებას“. ეს კი, როგორც ამბობენ ხოლმე, არაპედაგოგიური რამ იქნება!

ცნობილი ადამიანი რომ გავხდე და ჩემი დღიურები მუზეუმში მოხვდეს, არც მაშინ იქნება კარგი. ადამიანები ამ რვეულს რომ წაიკითხავენ, იტყვიან: „აი, თურმე მასაც ჰქონია შეცდომები... ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ჩვენი ბავშვები იქცევიან. ვინ იფიქრებდა!..“

არა, დღიურის წერას აღარ გავაგრძელებ, ამ რვეულს კი ნაკუწებად ვაქცევ და ღუმელში დავწვავ.

თუმცა, დიმამ თქვა, რომ არის მეორე გამოსავალიც: თურმე არ უნდა იფიქრო და არ უნდა გააკეთო ისეთი რამ, რაზედაც დღიურში ჩაწერა სამარცხვინო იქნება და რის გამოც შენი შვილები და შვილიშვილები სასაცილოდ აგიგდებენ!

— შეეცადე დასძლიო ყველა ნაკლოვანება, — მირჩია დიმამ.

იქნებ კიდეც ვცადო... მაგრამ ეს ხომ არც ისე ადვილია, როგორც დიმას ჰგონია! ჰოდა, სანამ არ მიცდია და ეს ნაკლოვანებები არ გამომისწორებია, დღიურის წერას თავი უნდა დავანებო. მე ასე გადავწყვიტე და „შუძ“-მა, ესე იგი დიმამ, რაც უნდა, ისა თქვას!...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რევაზ მარგიანი

დაბადების 50 წლისთავი

ქართული მხატვრული სიტყვის ცნობილ ოსტატს რევაზ მარგიანს დაბადების 50 და სამწერლო მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა.

ჯერ კიდევ 30 წლის წინ — პოეტურ სარბიელზე გამოსვლისთანავე მიიქცია რევაზ მარგიანმა საყოველთაო ყურადღება. მთელმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ ერთსულოვნად იწამა, რომ შესანიშნავი ბალადების — „ამბავი რუსთაველის უშგულს მისვლისა“, „ამბავი რუსთაველის სანადიროდ წასვლისა“ — და მთელ რიგ ლირიკულ ლექსთა ავტორის სახით ქართულ მწერლობაში მოვიდა მეტად ორიგინალური ხმისა და უტყუარი ძალის შემოქმედი.

რევაზ მარგიანის ლირიკა დავაჟკაცდა დიდი სამამულო ომის გმირულ დღეებში, როცა ჭაბუკი პოეტი საკუთარი მკერდით იცავდა მშობლიური მიწა-წყლის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“, „მუმლი მუხასა“, „გაფრინდი, ჩემო თეთრო თოლია“, „ზამთარი“, „მეგობრის ხსოვნას“ და სხვა ფრონტული ლექსები მუდამ დაამშვენებენ ქართულ საბჭოთა პოეზიას.

მამულის უსაზღვრო სიყვარული, ბრძოლა მშვიდობისათვის, ადამიანის სულის სილამაზე, — აი, ის ანკარა წყაროები, საიდანაც იღებს სათავეს რევაზ მარგიანის შემოქმედება. სწორედ ამ ჭეშმარიტმა ჰუმანიზმმა მოუხვეჭა რევაზ მარგიანის ლირიკას დიდი პოპულარობა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის გარეთ. პოეტის ბევრი ლექსი ქართველმა ხალხმა სიმღერად აქცია.

განსაკუთრებულად ახლობელი და ძვირფასია რევაზ მარგიანის სახელი ნორჩი თაობისათვის. და ეს სრულიად ბუნებრივია: ყველაზე სათუთ, ყველაზე თბილ სტრიქონებს პოეტი უძღვნის ბავშვებს, რომლებზედაც ფიქრი მუდამ თან დაჰყვება, მისი თითოეული საყმაწვილო ლექსი საოცარი უშუალობით ეხმაურება პატარების ფიქრებსა და გულისთქმას.

მაგრამ მარტო გულწრფელი საბავშვო პოეზიით როდი მოიპოვა რევაზ მარგიანმა ნორჩი თაობის სიყვარული. იგი წლების მანძილზე იყო ჟურნალების — ჯერ „დილას“, შემდეგ კი „პიონერის“ რედაქტორი. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო მან „პიონერის“ მხატვრულ-იდეური დონის მკვეთრად ამაღლების საქმეს. რევაზ მარგიანი „პიონერის“ რედაქციის მუშაობას ათეულ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა. რამდენი ღამე გაუტეხია თეთრად, რამდენი ენერგია დაუხარჯავს, რათა ჟურნალის თითოეული ნომერი რაც შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი ყოფილიყო თავისი შინაარსით, თემატიკით, მხატვრული გაფორმებით, და ამით ყოველმხრივ ხელი შეეწყო ნორჩი მკითხველის განათლებულ ადამიანად, შეგნებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის. ცხადია, მადლიერი მკითხველი გრძნობდა ამ დაუცხრომელ ზრუნვას, და უანგარო მოამაგისადმი მეტი სიყვარულით იმსჭვალებოდა. მას შემდეგაც, როცა უკვე სხვა სამუშაოზე გადავიდა, რევაზ მარგიანი ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი და გულშემატკივარია.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია, ნორჩ მკითხველებთან ერთად, მხურვალედ ულოცავს ჩვენს ძვირფას პოეტს დაბადების 50 წლისთავს, სულითა და გულით უსურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.



# მოვალეობისადმი ერთგულება

ბავშვები კამათობდნენ... ღამის სიჩუმეში საამოდ ჟღერდა მათი სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ხმა. „მოგონებების და კამათის საღამო", — ჩაიცინა თავისთვის მიხეილ ვასილის ძემ. მეათეკლასელებმა დღეს ბრწყინვალედ ჩააბარეს მიხეილ ვასილისძის საგანი—რადიოტექნიკა. სწორედ მათ მოიხელთეს ახლა პატივცემული მიხეილი ქუჩაში სეირნობისას და ბაღში შეიყვანეს, კი არ შეიყვანეს — შეიძლება ითქვას... შეიტყუეს.

მასწავლებელს ძალიან გაუხარდა ამ წყნარ საღამოს მოსწავლეებთან შეხვედრა: „გახსოვთ, მიხეილ ვასილის ძევ?" — წამდაუწუმ ისმოდა ბავშვების შეკითხვა. ახსოვს, როგორ არ ახსოვს, ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვს!.. აი, თუნდაც, პირველი გაკვეთილი. ბავშვები, ცოტა არ იყოს, გაოცებულნი დარჩნენ, როცა მათ მასწავლებელმა მოკლედ აუხსნა თავისი პრინციპი: „უნდა გაიგო, უნდა იცოდე, უნდა შეგეძლოს, ხოლო მთავარია — ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲔᲫᲚᲝᲡ". ერთი სიტყვით, მან ბავშვებს შთააგონა, რომ მთავარია პრაქტიკული ცოდნა. და, აი შედეგიც: დღეს მთელ კლასში მხოლოდ ხუთმა მიიღო ოთხიანი, დანარჩენმა თხუთმეტმა კი — ხუთიანი. ყველა მათგანი ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში აპირებს შესვლას. „— თქვენ აგვიხილეთ თვალი, თქვენ შეგვაყვარეთ ტექნიკა, მიხეილ ვასილის ძევ," — უთხრა მასწავლებელს დღეს ერთ-ერთმა მოსწავლემ.

...კამათი გრძელდება. ბავშვების სახეები არ ჩანს, მხოლოდ ხმაზე შეიძლება მათი გარჩევა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, მიხეილ ვასილის ძევ, რაშია მაინც სიცოცხლის აზრი? — კითხულობს ვალერკა.

— მე ასე ვფიქრობ, ბავშვებო, — მთავარია მოვალეობისადმი ერთგულება!

— ჰო, მაგრამ... ეს ხომ აბსტრაქტული რამაა. კონკრეტულად აი, მაგალითად, თქვენ...

— მე... მე ხომ პირნათლად მოვიხადე ჩემი მოვალეობა, როგორც მასწავლებელმა! აი, თუნდაც დღევანდელი გამოცდების შედეგები... და, აი კიდევ, — თქვენი ერთობლივი სურვილი — მიიღოთ ისეთი სპეციალობა, რომელიც დაკავშირებული იქნება რადიოტექნიკასთან....

— ეს კი, მაგრამ... აი, მიხეილ ვასილის ძევ, ხომ არსებობს მოვალეობა უფრო ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗ?

და ისევ ახმაურდნენ.. შეკამათდნენ... არსებობს თუ არა ᲞᲐᲢᲐᲠᲐ და ᲓᲘᲓᲘ მოვალეობა?!

მასწავლებელი უსიტყვოდ უსმენდა ბავშვებს; დაე, ჯერ თითოეულმა მათგანმა გულწრფელად გამოთქვას თავისი მოსაზრება. მიხეილ ვასილის ძე ღრმა ფიქრებმა წაიღეს. მეხსიერებაში გახუნებული ფოტოსურათებივით ამოტივტივდა უამრავი ეპიზოდი საკუთარი ცხოვრებიდან...

...ურალის სოფელი. ის — პოლიტიკური გადასახლებულის შვილი — ერთადერთი ზეინკალია მთელს მხარეში. ზეინკალი — „სწავლული". დაამთავრა სახელოსნო სკოლა. ეს იყო რევოლუციამდე. მერე ალაპაევის ინსტრუმენტალური საამქრო... აქ გახდა კომკავშირელი. აქვე დაეწაფა წიგნებს. ჩინებულად უკრავდა ბალალაიკაზე და სვერდლოვსკის მუსიკალურ ტექნიკუმში ეწადა მოწყობა. საქმე არა გაქვს?! ვინ გაუშვა! მაგრად შეახურეს კომკავშირის რაიკომში (იგი ბიუროს წევრი იყო). დამნაშავესავით თავჩაქინდრული იდგა ამხანაგების წინაშე...

—შენ რა, ჩემო ძმაო, გართობა მოგინდა? სხვებიც ხომ არ გინდა აიყოლიო! — გაბრაზდა რაიკომის მდივანი, — ქვეყანას ინჟინრები სჭირდება, ამან კი... მუსიკოსობა მომინდომა! იცოდე, დეზერტირად მოგნათლავთ, გესმის?! აგერ მუშფაკი — იქ წაბრძანდი, ბატონო, ღიაა კარები!

...მიხეილ ვასილის ძემ ამის გახსენებაზე ღრმად ამოიოხრა... რა უნდა ექნა? ადგა და წავიდა მუშათა ფაკულტეტზე. მერე ინსტიტუტი — მეტალურგიული ფაკულტეტი...

...ლენინური გაწვევის დროს კომუნისტი გახდა. ინსტიტუტის მეორე კურსიდან პარტიამ სოფელ ბოგოროდსკოეში გაგზავნა. ყველაფერი ისე იყო, როგორც შოლოხოვის „გატეხილ ყამირშია"... მუშაობდა ქიმკომბინატის მშენებლობაზე. იბრძოდა ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომში, დაამთავრა სამეთაურო კურსები, და ბოლოს...

— ლეიტენანტო შახალეევ, სასწავლებლად უნდა გაგგზავნოთ ლენინგრადის ტექნიკურ აკადემიაში, — ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე მიშას ხელი დაჰკრა მხარზე ჭალარა პოლკოვნიკმა, — იცოდე, აკადემიას რომ დაამთავრებ, აუცილებლად დაბრუნდი ნაწილში, — შენ ჩემი მოადგილე იქნები...

ეს ძალზე ძნელი საქმე იყო, — ელექტროტექნიკა სამხედრო საქმეში — განუწყვეტლივ სრულყოფას მოითხოვდა. ამ დარგის სპეციალისტებს თითზე ჩამოთვლიდი მაშინ...

შახალეევის სადიპლომო პროექტი უნიკალური გახლდათ — იგი ახალი ტიპის თვითმფრინავების შექმნასა და სრულყოფას შეეხებოდა. დიპლომმა მიიღო უმაღლესი შეფასება!

ასე გახდა ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერ-გამომცდელი. და ომის დროს მის ხელში გაიარა როგორც ჩვენმა, ასევე ჩვენი მოკავშირეების ყველა ახალი სახის თვითმფრინავმა! ის არ ყოფილა ფრონტზე .მისი ფრონტი იყო ცა. საიდანაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო საშინელი საფრთხე. ხშირად იჯდა კაბინაში მფრინავ-გამომცდელის გვერდით. ეს უკანასკნელი ასრულებდა დავალებით მიცემულ პილოტაჟის ათასგვარ ფიგურებს, მიხეილი კი გულმოდგინედ იწერდა ახალი თვითმფრინავის ტექნიკურ და საფრენ დახასიათებას. შემდეგ საფრენოსნო ნაწილებში ასწავლიდა ამ თვითმფრინავების მართვას.

ასე იყო 1944 წლამდე... ფაშისტთა ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავი... აეროდრომი რუმინეთში. დავალება—მტრის მანქანის მოქმედების გაცნობა. მოლდავეთის თავზე სქელი ნისლია... იქნებ, ყველაფერი იმ ნისლის ბრალი იყო, ვინ იცის... დაშვება შეუძლებელია, ბენზინიც თავდება... და უცებ, საშინელი რყევა... აი, ყველაფერი ის, რისი გახსენებაც შეეძლო ორი კვირის შემდეგ გონზე მოსულ ინჟინერ-გამომცდელს — შახალეევს.

ომი კი გრძელდებოდა. ყავარჯნიანი ინჟინერი ისევ სცდიდა მანქანებს. ოღონდ ახლა კაბინაში, მფრინავი-გამომცდელის გარდა, გვერდით კიდევ ერთი კაცი — ახალგაზრდა ინჟინერი ეჯდა: მიხეილ ვასილის ძე თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს გადასცემდა!...

შემდეგ... ფრენა აუკრძალეს. მიწიდან, ტელევიზორის ეკრანებზე, ადევნებდა თვალს ცაში მონავარდე ახალგაზრდა „არწივებს" და რადიოს საშუალებით წვრთნიდა მათ!..

ყველაფერი ეს იყო წინათ, რამდენიმე წლის უკან. მახსოვრობის ზედაპირზე არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი ამბავიც ამოტივტივდა: ბავშვებმა ჰკითხეს: „რუმი" ხომ გახსოვთ? ო, რა დიდებული რამ იყო?!"

რობოტი „რუმი" — რადიომართული მოდელი — ჩშელკოვსკის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის სიამაყე იყო (მიხეილ ვასილის ძე ამ სადგურში მოვიდა სამუშაოდ დემობილიზაციის შემდეგ). „რუმი" ექსპონირებული იყო დიდ გამოფენებზე. იგი ბობღავდა, ლაპარაკობდა კიდეც (წრის ერთ-ერთი წევრის ხმით).

ერთ დღეს კოლია ლავრენტიევმა თქვა:

— აი, ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ საქმის ჩინებული მცოდნენი, ნამდვილი ოსტატები ხართო!... ჩვენს ნახელავ-ნაკეთობებს კი მხოლოდ გამოფენებზე და სკოლის სახელოსნოთა თაროებზე თუ ნახავთ. სათამაშოებია, და სხვა არაფერი.

მიხეილ ვასილის ძე ჩააფიქრა ბავშვის ნათქვამმა: „მართალს ამბობს ბიჭუნა, სათამაშოებით — თუნდაც ისინი ძალზე საინტერესო და თანამედროვე ტექნიკის დონეზე იყოს გაკეთებული — [illegible] დააინტერესებ, [illegible] გაიტაცებ ბავშვებს. [illegible] მათ საქმე, რომელიც რეალურ [illegible] სარგებლობას მოიტანს..."

და მივიდა მასწავლებელი საშეფო ქარხანაში... იქ დაინტერესდნენ მისი წინადადებით...

— სწორედ რომ კარგ დროს მობრძანდით, — უთხრეს მას, ქარხანაში, — უნდა მოვაწყოთ ლაბორატორიები სტუდენტებისათვის, საჭიროა ახალი მოწყობილობანი, რომლებიც ჯერჯერობით არსად არ მზადდება. აი, თქვენი ნორჩი ტექნიკოსები რომ დაგვეხმარებოდნენ....

მორიგ მეცადინეობაზე წრის ნორჩმა წევრებმა მასწავლებელს უთხრეს: „დავეხმარებით, რატომაც არა, მივალთ ქარხანაში, მოვინდომებთ და უსათუოდ გავიმარჯვებთ".

ბარე ორი თვე იმუშავეს თავდავიწყებით.... დაამზადეს ხელსაწყოები. ცნობილმა ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა ნორჩი ტექნიკოსების ნახელავი „ფრიადზე" შეაფასეს...

... ექვს წელს ხელმძღვანელობდა მიხეილ ვასილის ძე ნორჩ ტექნიკოსთა სადგურს, ბევრი მისი აღზრდილი ამჟამად ინსტიტუტში სწავლობს. ხოლო ჩვენთვის უკვე ნაცნობი კოლია ლავრენტიევი ჯარში რომ გაიწვიეს — მას ტექნიკოსთა სადგურმა ბრწყინვალე დახასიათება მისცა. აი, რატომ მოხვდა კოლია იმ ნაწილში, რომელსაც ელექტრონულ ტექნიკასთან ჰქონდა საქმე. ვინ იცის, შესაძლოა კოლიას წინაშე სწორედ აქ გაჩნდეს პერსპექტივები, როგორიც მისი ხელმძღვანელის წინაშე გადაიშალა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ!...

— მიხეილ ვასილის ძევ! — კიდევ ერთხელ ეკითხებიან ხელმძღვანელს ეშმაკური ღიმილით, — მაინც, რას ნიშნავს მოვალეობისადმი ერთგულება ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗ?

მიხეილ ვასილის ძე დინჯად პასუხობს:

— მე ვფიქრობ, არ არსებობს ამ მცნების დიდი და პატარა გაგება, არსებობს უბრალოდ — ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ!

ჟურნალ „ᲘᲣᲜᲘ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲘᲓᲐᲜ".



პოეტი ვახტანგ გორგანელი დიდი სამამულო ომის დროს სტალინგრადის დამცველთა რიგებში იბრძოდა. ვბეჭდავთ მის ფრონტულ ჩანაწერებს.

ვახტანგ გორგანელი

მხატვარი იური ქლიბაძე

# ჯარისკაცის გარმონი

აი, უკვე ორი თვეა, ფრონტზე ვარ და ჯერ ტოლაღები არ შემომიხსნია, წინდები არ გამიხდია, წესიერად არ მძინებია. ჩვენი ჭერი ღია ცაა, საწოლი — თოვლიანი მიწა...

პროდუქტს გაჭირვებით ვიღებთ, თვითმფრინავებიდან პარაშუტით გვიყრიან; ნახევარი ძლივს აღწევს ჩვენამდე; მაინც იოლად გავდივართ. მთავარია, ტყვია-წამალი არ მოგვაკლდეს.

პაულიუსის არმიამ ძალიან შეგვავიწროვა, ქალაქის მეტი ნაწილი მის ხელშია. მესამედ გაავრცელეს ხმა, თითქოს სტალინგრადი უკვე დაეცა; მაგრამ სტალინგრადი კვლავ იბრძვის. თვით მტერსაც კი უკვირს ჩვენი გაუტეხლობა და იგი ყოველგვარ საზიზღრობას სჩადის, რომ სულიერად გაგვტეხოს, დაგვიმორჩილოს.

— რას იტყვი, კავკას, — (ზედმეტ სახელად „კავკასს" მეძახდნენ ჯარში),— ამ დილით ცარაევი თითებწაჭრილი და მკერდზე ვარსკვლავამოჭრილი რომ გამოუშვეს, ფაშისტების აღსასრულის ნიშანი ხომ არაა? — მეკითხება ჩემი მეგობარი, რიგითი მებრძოლი ფილონოვი.

— ახლავე გავიგებ ყველაფერს, — ვეხუმრები მეგობარს, ხელში ვიღებ ალუმინის კოვზს, ვითომ ყურმილია, და „ველაპარაკები" ფაშისტური არმიის სარდალს. — ალო! პაულიუსი ბრძანდებით? გუტენ მორგენ! ჩემს ამხანაგს აინტერესებს, როდის მოგეღებათ ბოლო. ძალიან მალე? სასიამოვნოა.

ფილონოვი ხარხარით მეუბნება:

— გადაეცი ჩემი მადლობა.

კოვზს ჩიბუხივით ვიბერტყავ ხელზე და ისევ ტოლაღში ვიჩრი.

სანგარში ტატიანოვი შემოდის, — შენ და ფილონოვს ლეიტენანტი გიხმობთო.

სტარიკოვსკიმ გვიბრძანა, 6 საათისათვის გამოცხადებულიყავით არმიის შტაბში.

პირი გავიპარსეთ. ხალათებს საყელო გამოვუცვალეთ და შტაბში მივედით. მორიგეს მოვახსენეთ, საიდან ვიყავით, დაიცადეთო.

სულ მალე, ვეება ძელმიწურში შეგვიყვანეს. იქ დავალება მივიღეთ. ამაღამ მტერს ახალი ძალები მოუვა, ჩვენ უნდა დავაზუსტოთ, ამ ძალების თავმოყრის ადგილი.

ღამის ათ საათზე ნაპირ-ნაპირ დავყევით ვოლგას. უვნებლად გადავლახეთ ფრონტის ხაზი. მთავარ გზებზე გავნაწილდით ორ-ორი კაცი. მე და ფილონოვი ბიკეტოვკიდან მომავალ გზასთან ჩავსაფრდით. ვიცდით. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... ახალი ძალების მოსვლის არავითარი ნიშანი არ ჩანს. გერმანელები კი სულ ახლოს არიან. აი, ორი მათგანიც, — თითქოს მიწიდან ამოიზარდნენო. დაბარებულებივით, პირდაპირ ჩვენსკენ მოემართებიან.

— ხომ არავინ გაგვცა? — ვუჩურჩულე ამხანაგს.

— ჩუმად! — მაფრთხილებს ფილონოვი. დაძაბული ვუყურებთ ჩვენსკენ მომავალთ. ცივა. თავები ისე აქვთ შეხვეული, ალბათ ზარბაზნის ხმასაც ვერ გაიგონებენ. უეცრად, ერთი უკან გატრიალდა. მეორე ზედ ჩვენს ცხვირწინ გაჩერდა და ფიჩხს დაუწყო აკრეფა. ფიჩხი ჩვენც გვაყრია ზემოდან. ფრიცი, ალბათ, ამ ფიჩხსაც აიღებს. მართლაც, ვარაუდი გამართლდა. ის იყო დაიხარა ჩვენსკენ, რომ დაყვირებაც ვერ მოასწრო, ისე მოვაქციეთ მკლავების მარწუხებში. პირში ჩვარი ჩავჩარეთ.

ამასობაში მეორე ფრიცი კვლავ გამოჩნდა. მიიხედ-მოიხედა და, ამხანაგი რომ ვერ დაინახა, შეშინებული უკან გაიქცა.

თავს უნდა ვუშველოთ საჩქაროდ.

ტყვეს ვუთხარი, თუ სიცოცხლე გინდა, წყნარად წამოგვყევი-მეთქი.

სხვა რა გზა ჰქონდა, — დამთანხმდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მტრის

მხრიდან საშინელი სროლა ატყდა, მაგრამ ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით.

გზაშივე შევიტყვეთ ტყვისაგან: გერმანელებს შევსება თურმე წინა ღამეს მიუღიათ, განლაგების ადგილიც გავიგეთ....

შტაბში გამოვცხადდით. მოვახსენეთ მდგომარეობა. „მოენეც“ წარვუდგინეთ.

ცოტა ხანში სხვა მზვერავებიც დაბრუნდნენ, მათაც მსგავსი ცნობები მოიტანეს.

დაუწყეს ტყვეს დაკითხვა. შეშინებული იყო და ყოველი წინადადების ბოლოს სულ „კაპუტ ჰიტლერს“ იძახდა.

— ხომ ვამბობდი, კავკას, ჰიტლერს წყალი აქვს შეყენებული-მეთქი. ჩანს, მაგათაც აღარა სჯერათ ჰიტლერისა. რა ადვილად დაგვნებდა? შევცდით, მეორის წამოყვანასაც შევძლებდით, ტყუილად გავუშვით... არასოდეს წერილი არ გამიგზავნია სახლში. ხვალვე დავწერ. ახლა კი ღირს წერილების წერა.

— აბა, შენ იცი, ფილონოვ! — ვუთხარი და მხარზე ხელი დავარტყი.

●

ჩვენც ყოველდღე გვემატება ახალი ძალები. ახლები ძველებს „მამებს“ გვეძახიან. მართალია, ჩვენს შორის დიდი განსხვავება არაა ხნოვანებაში, ერთიორი წელი თუ იქნება, მაგრამ, რაკი მათზე ადრე მოვსულვართ ფრონტზე და ბრძოლის გამოცდილება მეტი გვაქვს, „მამებს“ პატივისცემის ნიშნად გვიწოდებენ.

— რამდენი წლისა ხართ? — მეკითხება ახალმოსული.

— ოცდაერთის, — ვეუბნები ღიმილით.

— მერედა, ასე ახალგაზრდა — უკვე „მამა“?!

— რას იზამ, ასე იცის ფრონტმა.

ჩემს პასუხზე ფილონოვი ხუმრობს: ბერლინში, ალბათ, ბაბუებს დაგვიძახებენო.

ფილონოვს სამი თუ ოთხი სამკუთხა წერილი უჭირავს ხელში. — ეგ წერილები ახლა მიიღე-მეთქი? — ვეკითხები. კი არ მივიღე, ვგზავნიო.

— ალბათ, მაგ წერილებს დედაშენი მუზეუმს გადასცემს! — ვეხუმრები მე.

— ჩვენს სოფელში მუზეუმი არ არის, — სიტყვას მიჭრის ფილონოვი.

— თუ არ არის, ახლა გახსნიან, — არ ვეშვები მე.

სოფლის ხსენებაზე ფილონოვს სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— კავკას, მომენატრა სოფელი, ბაღი, ბოსტანი... ერთი გემოზე მაჯერებინა გული მუშაობით, სხვა არაფერი მინდა.

ფილონოვი კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ გაჩუმდა, — ძელმიწურში პოლიტხელის თანაშემწეე შემოიხედა, — გასაგზავნი წერილები ხომ არავის გაქვთო.

ფილონოვმა სასოებით გადასცა თავისი ბარათები.

დაბინდებისას სასტიკად შემოგვიტიეს გერმანელებმა. ავიაციისა და არტილერიის ცეცხლი ერთბაშად დაგვატყდა თავს.

●

ჩვენი ასეული ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, ასეულს ვამბობ, თორემ რაღა ასეულია, სულ თორმეტნი ვართ დარჩენილი. ამ თორმეტმა კაცმა ასეულის შთაბეჭდილება უნდა შევუქმნათ მტერს. ტრანშეებში თავქუდმოგლეჯილები დავრბივართ; აქედან რომ დავუშენთ, ახლა იქით გავვარდებით, ტყვიამფრქვევს ავაკაკანებთ, შემდეგ ისევ გადავინაცვლებთ, ხელყუმბარას გადავუშვებთ.

— უნდა გავუძლოთ როგორმე, — ამბობს ლეიტენანტი სტარიკოვსკი კბილების კრაჭუნით.

ტყვია წვიმასავით მოდის, თავს მაღლა ვერ ასწევ. ლეიტენანტი პერისკოპით ადევნებს თვალს, თუ რა ხდება ჩვენს ზემოთ — მიწაზე.

— ბიჭებო, არ დაიბნეთ, „ტომარაში“ ვექცევით!

— რაო?! — მივარდა ტატიანოვი სტარიკოვსკისთან.

ფილონოვიც პერესკოპთან მიიჭრა:

— უკან დასახევი გზა გადაჭრილია.

გულმა აღარ მომითმინა და ფრთხილად ავყავი თავი. ვხედავ: ქვემოთ სვასტიკიანი ტანკები ჩამწკრივებულან და ჩვენსკენ მოუშვერიათ ლულები. დაგვაყარეს და დაგვაყარეს. მაგრამ, იღბლად, არცერთი არ მოგვხვედრია. შესანიშნავი პოზიცია გვეკავა, — რამდენიც არ უნდა ერტყათ ჩვენთვის, პირდაპირი მოხვედრა ძნელი იყო. ერთხელ კიდევ სინჯეს არამზადებმა. ჩვენ მაინც არ ვუპასუხეთ. ლეიტენანტმა სასტიკად გაგვაფრთხილა: თუ ახლო მოვიდნენ, მხოლოდ მაშინ ვესროლოთო.

ასე გვირტყეს კარგა ხანს. მერე, ალბათ, იფიქრეს, უკვე გავანადგურეთო, მოგვეშვნენ ტანკები და სატრაქტორო ქარხნისაკენ დაიძრნენ.

ვხედავთ, როგორ წამოეწივნენ ტანკებს ქვეგანაყოფები და უკან აედევნენ მშიერი მგლებივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოვდება, ზლაზვნით შემოდის სუსხიანი ზამთრის ღამე. ჩვენ კი თითქოს ცეცხლი გვიკიდია ტანზე. ფილონოვს მკერდი ისე გაუღეღია, გეგონება გავარვარებულ ღუმელთან ზისო. ტატიანოვი ფარაჯის კალთით ოფლიან შუბლს იწმენდს. სტარიკოვსკისა და მე ქუდები ხელში გვიჭირავს და ერთმანეთს შევცქერით. ყველას ერთი აზრი გვიტრიალებს თავში: როგორ გავიდეთ გარემოცვიდან, როგორ შევუერთდეთ ჩვენი ჯარის ნაწილებს.

— მტრებს ცოცხლები აღარ ვგონივართ, თორემ არ მოგვეშვებოდნენ, თან საღამომაც გვიშველა, — ამბობს სტარიკოვსკი და კვლავ ფიქრს ეძლევა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ვაზნები ძალიან ცოტა გვაქვს; დილამდე თუ არ გავაღწიეთ აქედან, მერე ღმერთმა იცის, რა მოხდება...

ფილონოვს უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ ტატიანოვმა აღარ აცალა და შეშფოთებით წამოიძახა:

— მოკინოვი სადაა?!

ფილონოვი ელდანაკრავივით წამოხტა და სანგრის გასასვლელს წელში მოხრილი გაჰყვა. მე და ტატიანოვიც გავყევით.

მოკინოვი ოციოდე ნაბიჯზე იწვა მძიმედ დაჭრილი, შევუხვიეთ ჭრილობები. როგორც იყო გონზე მოვიდა.

— ბიჭებო, ცოცხლები ხართ?.. — გვითხრა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, და მალე ისევ დაჰკარგა გონი. ფილონოვმა ყურები მოუსრისა. მოკინოვმა გახსნა ბაგე: — არ დამტოვოთ, მეგობრებო... ან ტყვია გაიმეტეთ, ან თან წამიყვანეთ...

მოკინოვის ამ სიტყვებზე ფილონოვი შებრუნდა და ცრემლები ფარაჯის სახელოთი შეიმშრალა.

რა ალალი, ამხანაგებისათვის თავდადებული ბიჭი იყო მოკინოვი, თავისი თავგანწირვით რამდენი უხსნია სიკვდილისაგან!

გარმონის დაკვრა უყვარდა მოკინოვს. გარმონი შინიდან ჰქონდა წამოღებული და სულ თან დაჰქონდა. ეს გარმონი ახლაც გვერდით უდევს... სდუმს მოკინოვი და სდუმს მისი გარმონიც...

კარგად რომ დაბნელდა, ლეიტენანტმა გვითხრა:

— გზა მხოლოდ ერთია, — დაღმა რომ ხევი მიდის, იმას უნდა გავუყვეთ, დანარჩენი მერე ვნახოთ.

მოვემზადეთ, თუმცა რა გვქონდა მოსამზადებელი. ავტომატებში უკანასკნელი ვაზნები ჩავაწყვეთ და დავიძარით. მოკინოვი მე წამოვიკიდე. ფილონოვმა გარმონი წამოიღო.

ნახევარი გზა რომ გამოვიარეთ, მოკინოვი მეუბნება:

— კავკას, მომკალით, ნუღარ მაწვალებთ.

— არა, მოკინოვ, შენ უნდა იცოცხლო, — ვამხნევებ მე.

— შენ იცოცხლებ, ძმაო, — ანუგეშებს ფილონოვი.

ერთმანეთს ვენაცვლებით მოკინოვის ტარებაში. დიდი ვაი-ვაგლახით მივიწევთ წინ. როგორც იყო ჩვენს ბატალიონს მივაგენით. თავი სამშვიდობოს გვეგონა, მაგრამ ბატალიონი თურმე მტრის გარემოცვაში ყოფილა მოქცეული. ცოცხლები აღარ ვგონებივართ. მივედით თუ არა, ბატალიონის უფროსმა, კაპიტანმა ლაფშინამ მეთაურებთან ერთად რამდენიმე ჯარისკაცი ამოგვარჩია და ცალკე გაგვიხმო.

კაპიტანი მარჯვენა ხელშია დაჭრილი, თავიც შეხვეული აქვს. შავგვრემანი სახითა და გრძელ-გრძელი ულვაშებით კავკასიელი გეგონება. სინამდვილეში ურალიდანაა. ეტყობა, ჭრილობები ძალიან აწუხებს, წამდაუწუმ ტუჩებს იკვნეტს. მეთაურებს გამოჰკითხა, ვის რამდენი მებრძოლი ჰყავდა დარჩენილი. მერე ყველას მოგვმართა:

— ამხანაგებო, მდგომარეობა ნათელია: ჩვენს გარშემო მტერია; გათენებამდე როგორმე უნდა გავიდეთ. ამ ხევს გავყვებით, — ვოლგაზე ჩაგვიყვანს, იქ კი ნაპირ-ნაპირ უნდა ავუყვეთ მდინარეს.

კაპიტანმა შემდეგ თქვა, რომ მთელი ბატალიონიდან მხოლოდ ორმოცნილა ვართ ცოცხლები, მაგრამ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მტერს არ ჩავუვარდეთ ხელში; როგორმე უნდა გავიდეთ და შევუერთდეთ ჩვენიანებს; ორი მეტყვიამფრქვევე მაღლა, ხევის მარჯვნივ და მარცხნივ დადგება, ცეცხლს გახსნის და მოწინააღმდეგის მთელ ყურადღებას თავისკენ გადაიტანს. ჩვენ კი ამ დროს დავტოვებთ ხევს.

კაპიტნის გეგმა ყველას ჭკუაში დაგვიჯდა.

მეტყვიამფრქვევეები — ტატიანოვი და მესამე ასეულის მებრძოლი დოლგოვი ლაფშინამ თავისთან დაიტოვა; ალბათ ამათ დაავალებს ცეცხლის გახსნას!

გარემოცვიდან სამშვიდობოზე გასვლა ადვილი საქმე როდია, მაგრამ ტატიანოვისა და დოლგოვის ამოცანა ახლა ყველაზე რთულია; ორმა კაცმა, თავიანთი სიცოცხლის ფასად, უნდა იხსნას დანარჩენი ოცდათვრამეტი. სხვა გზა არაა. ტატიანოვს ერთი შევხედე და, მკერდში რაღაც ჩამწყდა. ნუთუ ეს შეხვედრა უკანასკნელია?!

ტატიანოვმა პირველად მოკინოვი გადაჰკოცნა. მე და ფილონოვს ერთად მოგვხვია მკლავები, მკერდზე მიგვიკრა, დაგვკოცნა და ტყვიამფრქვევს დასწვდა. იმ სიცივეში მიშველი ხელები რომ დავუნახე, ჩემი ტყავის ხელთათმანები წავიძვრე და გავუწოდე, არ აიღო. უხმოდ მანიშნა, მე რაღად მინდაო. ძალით ჩავაცვი.

ღამის ორ საათზე, ჩვენს ზემოთ, ხევის ორივე მხარეს, ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ. დავიძარით. უკუნეთში არაფერი არ ჩანს, ბრმად მივდევთ ვოლგისკენ დაქანებულ ხევს. მივღოღავთ, მივცოცავთ, მივსრიალებთ...

მოკინოვი ხმას არ იღებს, ვაჟკაცურად იტანს ტკივილებს; ჩემს კისერზე შემოხვეული მისი ხელები ისეა გაყარყარებული, ასე მგონია, ცეცხლის ყულფში მაქვს თავი გაყოფილი. მეგობრის ტარებაში ხშირ-ხშირად მენაცვლება ფილონოვი.

ხევის ერთ მოსახვევთან გერმანელებმა ტყვია დაგვიშინეს. პასუხი არ გავეცით. ცოტა ხნით შევჩერდით, მერე კვლავ განვაგრძეთ გზა. სროლა განმეორდა და მალე ისევ მიწყდა. ეტყობოდა, მხოლოდ სიფრთხილისათვის ისროდნენ. როგორც კი ვოლგას მივატანეთ, ჯვარედინი ცეცხლი გადაგვეღობა წინ. პასუხი კვლავ არ გავეცით, ლოდებს ამოვეფარეთ. კარგა ხანს გასტანა სროლამ. კაპიტანი ლაფშინა მარჯვენა ფეხში დაიჭრა, მას სტარიკოვსკი ამოუდგა მხარში. ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ... ერთმანეთს ვამაგრებთ, ვეშველებით, ვჩქარობთ... გავალთ თუ ვერ გავალთ? გავედით! მაგრამ ის იყო სამშვიდობოს დავიგულეთ თავი, რომ უეცრად ჩვენი დივიზიის მებრძოლები დაგვესხნენ თავს, კინაღამ ამოგვწყვიტეს. რაკი პაროლი არ ვიცოდით, არ გვენდნენ. ხელები აგვაწევინეს და შტაბში მიგვიყვანეს. იქ კი ფილონოვმა ველარ მოითმინა, ერთი მაგრა შეიგინა და აყვირდა: ექიმი! ფილინოვს მივვარდი, მინდოდა მივშველებოდი მოკინოვის ძირს დასვენებაში, მაგრამ რას ვხედავ — მოკინოვი მკვდარია, მისი გაციებული მკლავები ისეა შემოჭდობილი ფილონოვის კისერზე, რომ ველარ ვხსნით. ფილონოვი კი ბურტყუნებს, თავის თავს ლანძღავს: როგორ ვერ გავიგე, როგორ ვერ გავიგე...

საფლავის გაჭრას შევუდექით, მაგრამ ვერა და ვერ გავთხარეთ მიწა, ისე იყო გაყინული. ბოლოს, თოვლით გადანამქრული სანგარი გავასუფთავეთ და მასში ჩავასვენეთ მოკინოვი. გვინდოდა გარმონიც თან ჩაგვეტანებინა, მაგრამ ფილონოვმა არ დაგვანება: ეს ისეთი ვაჟკაცის ხელში იყო, მაგის დადუმება ცოდვააო.

ვიკითხეთ, მებრძოლთაგან გარმონზე დაკვრა თუ იცოდა ვინმეს [illegible] დაბალი, მაგტუხა ბიჭი, [illegible]

ფილონოვმა გვარი და სახელი გამოჰკითხა, ერთი უცნაურად ჩახედა თვალებში და ხმადაბლა უთხრა:

— აბა, შენ იცი, ბორის მიხაილოვ! ეს გარმონი კარგ ბიჭს ეჭირა ხელში. სულ სიცოცხლეზე მღეროდა. შენც სულ სიცოცხლეზე უნდა იმღერო. გარმონს ბერლინამდე თუ მიიტან და იქ დაუკრავ გამარჯვების სიმღერას, მაგის პატრონიც გაცოცხლდება.

ფილონოვმა ხიშტი წააძრო თოფს და მისი წვერით გარმონზე წააწერა: „მოკინოვი. სტალინგრადი". შემდეგ გარმონი ახალ პატრონს გადასცა, თან სთხოვა:

— აბა, გაწელე!

გარმონი სევდიანად აქღერდა. უკანასკნელი მუჭა მიწა მივაყარეთ საყვარელ მეგობარს.

●

ბატალიონი ახალმოსულებით შეივსო. ჩვენც გული მოგვეცა, ნუგეში მოგვემატა. ფილონოვი თითქოს მეორედ დაიბადა.

— კავკას, მტერს რომ ჰგონია, ისე არაა საქმე. დედას ვუტირებთ.

დავალება მივიღეთ: შევიტყოთ მტრის ძალების განლაგება, რა ნაწილები დგანან ჩვენს წინააღმდეგ. მტრის ზურგში ჩვენი ტყვია-წამლის საწყობი დარჩა და უნდა ავაფეთქოთ.

ამ ამოცანის შესასრულებლად სტარიკოვსკიმ ფილონოვი და მე გამოგვყო, ორნიც — ახალმოსულებიდან; ბატურინი და კრატკოვი. ერთი შეხედვით მარჯვე ბიჭები არიან, დანარჩენს საქმე გვიჩვენებს.

მტრის დიდ წინააღმდეგობას ველოდით, მაგრამ ფრონტის ხაზი ხუთივემ ისე გადავლახეთ, თოფი არ გავარდნილა.

— ეტყობა, წყეულებმა გული დაიმშვიდეს, — განადგურებულნი თუ ვგონივართ, — მეუბნება ფილონოვი.

სტალინგრადის განაპირა უბანს მივაღწიეთ. ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული. თხრილებს გავყევით ქვევითკენ.

ლეიტენანტმა შეგვაჩერა:

— ხედავთ, ტანკები!

მაშინვე მიწას გავეკარით. მერედა, რამდენი არიან ეს ურჩხულები!

ლეიტენანტმა ჩურჩულით აგვიხსნა:

— სატანკო დივიზიაა. დილის შეტევისათვის რომ არ ემზადებოდნენ, ასე ახლოს არ მოიყვანდნენ ტანკებს.

შორიახლო შემოვუარეთ. მთვარის შუქზე, ჩვენგან მოშორებით, რაღაც მო-

ძრაობა შევნიშნეთ, რაღაცას მიაგორებდნენ. არტილერია აღმოჩნდა. კიდევ შემოვუარეთ. ვეება ტაფობში ჭიანჭველებივით ირეოდნენ ადამიანები.

— ფეხოსანთა შენაერთებია! — დაბეჯითებით გვითხრა სტარიკოვსკიმ და საათზე დაიხედა. ისარი ხუთს უჩვენებდა.

— კრატკოვი და შენ, — მეუბნება ლეიტენანტი, — უკან უნდა გაბრუნდეთ. ხომ ხედავთ შეტევისათვის ემზადებიან. ყველაფერი დაწვრილებით მოახსენეთ.

— თქვენ, ამხანაგო ლეიტენანტო?— ვეკითხები.

— საწყობს ავაფეთქებთ! — მპასუხობს მოკლედ.

წამოვედით, მაგრამ გული მათთან დამრჩა; თითქოს ვიღაც ჩამძახოდა, — ეს განშორება უკანასკნელია, რატომ არ დაემშვიდობე მეგობრებსო.

მე და კრატკოვი არცკი ვიყავით შტაბში მისულები, რომ ძლიერი აფეთქების ხმა მოგვესმა.

შტაბს ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენეთ.

სასწრაფოდ გაიცა განკარგულება, მტრისთვის დაგვესწრო შეტევა!

შეტევა დაიწყო. ცაში ავარდნილ ცეცხლის სვეტებს რომ შევხედე, ვეღარ მოვითმინე და კრატკოვს ვეცი, სიხარულისაგან კოცნა დავუწყე.

მაინც, სად იყო ამდენი ტანკი, ქვემეხი, თვითმფრინავი!

ო, როგორ მინდოდა, იმწუთას ფილონოვი ჩემთან ყოფილიყო და შემკითხოდა: „რას იტყვი, კავკას, ეს მტრის დამარცხების დასაწყისი ხომ არ არის?“ მე კი, თანხმობის ნიშნად, მისთვის თავი დამექნია.

ჩვენებმა მტრის სიმაგრეები გაარღვიეს. წინ მივიწევთ. ჩემს მხარდამხარ კრატკოვი მოდის.

აი, ის ადგილები, სადაც სტარიკოვსკი და ფილონოვი წუხელ დავტოვე. თუ ცოცხალი დარჩნენ, ნეტავ ახლა სად არიან? მინდა დავიყვირო: „სტარიკოვსკი... ფილონოვ...“ მაგრამ ამ ორომტრიალში ვის გავაგონებ. მკვდრები მკვდრებზეა, დაჭრილები-დაჭრილებზე... კრატკოვი წამით არ მშორდება გვერდიდან — ახალბედაა, გამოუცდელი...

მტერი რამდენჯერმე გადმოვიდა კონტრშეტევაზე, მაგრამ ამაოდ.

ჩვენებმა ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს, გამაგრდნენ. ვეძებთ სტარიკოვსკის, ფილონოვსა და ბატურინს. ბოლოს სტარიკოვსკის და ბატურინს ერთ გორმახზე წავაწყდით...

ფილონოვი კი მესამე დღეს ვიპოვეთ, მტრის ნაღმს იგი წელში გადაეჭრა. ასე დავკარგე ჩემი ერთგული მეგობარი და შესანიშნავი ვაჟკაცი...

გერმანელები სტალინგრადთან დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიან.

ამ წარმატებამ ჩვენი მებრძოლების სულიერი სიმტკიცე გაასამკეცა. სიხარულს სიხარული დაერთო: ჩრდილოეთ კავკასიიდან წამოსულმა საბჭოთა მხედრიონმა გაარღვია სტალინგრადთან გამაგრებული ფონ პაულიუსის კბილებამდე შეიარაღებული არმია და „ტომარაში“ მოაქცია. ახლა მას უკან დასახევი გზა არა აქვს. მართალია, 300.000 გაცოფებული ჯარისკაცის კედელია ჩვენს წინ აღმართული, მაგრამ მისი ფუძე უკვე ირყევა.



— ეს ფაშისტების უკანასკნელი გაბრძოლებაა, ამიტომ უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს, — ესაუბრება ახალმოსულებს პოლიტხელი მიტუხლიაევი, უყვება თავისი თვალით ნანახსა და განცდილს; არა საუკუნეთა მიღმიდან, არამედ გუშინდელი, გუშინწინდელი გმირული დღეებიდან მოჰყავს სამშობლოსათვის თავგანწირვის მაგალითები.

პოლიტხელმა საუბარი დაამთავრა. მიხაილოვმა მოკინოვის გარმონი აამღერა. ვუსმენდი და ასე მეგონა, მოკინოვი კვლავ ჩემს წინ იდგა და გულღიად მიღიმოდა.

გარმონის ჰანგებითა და მებრძოლების ღიღინით ახმიანებულ ძელმიწურში ბატალიონის უფროსმა შემოიხედა. მიხაილოვმა შეწყვიტა დაკვრა, მაგრამ უფროსმა ხელით ანიშნა, განაგრძეო. კაპიტანი ლაფშინაც აჰყვა გარმონის ტკბილ ხმებს.

კაპიტანმა გასვლის წინ ხმამაღლა შემოგვძახა: „არწივებო!“ და მეგარმონეს ქების ნიშნად მხარზე ხელი დაკრა, თან დააყოლა:

— ხმას გაუფრთხილდით, ბიჭებო, ბერლინში მაგრად უნდა ვჭექოთ!

მთელი ღამე რაღაც საოცარი დუმილი იდგა ფრონტზე; ხანდახან არტილერისტების დუელი თუ დაარღვევდა ამ დუმილს. როცა ოდნავ ღიაფერი გაერია ჩაშავებულ ცას, თვითმფრინავებმა გადაგვიარეს გამაყრუებელი ხმაურით. ვოლგის გაღმა ცეცხლის შადრევნები ავარდა — ჩვენები აძლევდნენ პასუხს მტრის ბომბდამშენებს!

შტაბიდან ბრძანება მოვიდა, მოემზადეთ და დაელოდეთ ნიშანსო.

არ გასულა ორი წუთიც, რომ მოგვცეს ნიშანი — დაიწყეთო...

დავალება ასეთია: გავიდეთ ბატალიონის მარჯვენა ფლანგზე და ახალი ძალების მოსვლამდე გამუდმებული ცეცხლი გავხსნათ. მერე კი ისევ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს სიმაგრეებს.

სულ თორმეტნი ვართ. ადგილები შევარჩიეთ. დაწოლილებმა გავთხარეთ სანგრები და ცეცხლი გავხსენით. მტერმა საპასუხოდ ჭურვების სეტყვა დაგვაყარა. ამ ცხარე ბრძოლაში ერთბაშად მწვავე ტკივილი ვიგრძენი, ავიწიე და... ავტომატი ხელიდან გამივარდა, ავტომატს მეორე ხელი ვტაცე... თორმეტნი ვიყავით, აქედან ოთხსღა ვხედავ, მათგან ორი — დაჭრილია. დაყოვნება არ შეიძლება, — ვიდრე ახალი ჭურვი წამოვიდოდეს, ადგილი უნდა ვიცვალოთ. დაჭრილებს მიტუხლიაევი და მიხაილოვი გვეხმარებიან. საცაა მივაღწევთ ტრანშეებამდე, მაგრამ მე უკვე თვალთ დამიბნელდა...

როცა გონს მოვედი, საველე ჰოსპიტალში ვიწექი. მეორე დღეს ზურგში გამგზავნეს სამკურნალოდ.

1943 წლის 31 იანვარს, ღამით, ქალაქ ორსკში გავიგე სტალინგრადში ფელდმარშალ პაულიუსის დატყვევების ამბავი. აღარ ვიცოდი, სიხარულისაგან რა მექნა. ო, როგორ მინდოდა იმ წუთში ჩემს გვერდით ყოფილიყო ფილონოვი, თავისი კვიმატი სიტყვა-პასუხით, და ჩემთვის სიცილით ეთქვა: — „ხომ გითხარი, კავკას, ჩვენ გავიმარჯვებთ, ამათი წუთები დათვლილია-მეთქი!“

როგორ მინდოდა, ჩემს გვერდით ყოფილიყო მოკინოვი, თავისი გარმონით, და მასთან ერთად ცეკვა-სიმღერით მოვქანცულიყავი!

როგორ მინდოდა, ლეიტენანტ სტარიკოვსკისათვის მიმელოცა ეს დიდი გამარჯვება!

1945 წლის 9 მაისს, როცა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია გამოცხადდა, მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. იმ დღეს გაზეთში ასეთი ფოტოსურათი ვნახე: რაიხსტაგის წინ საბჭოთა მებრძოლებს ზეიმი აქვთ, ერთ მებრძოლს ხელში გარმონი უჭირავს და, ეტყობა, წელავს და წელავს. მომეჩვენა რომ მებრძოლის სახეც მეცნაური.

და... თითქოს გარკვევით გავიგონე, როგორ მღეროდა სამშობლოსათვის თავდადებული ჯარისკაცის გარმონი.

მხატვარი ი .ქლიბაძე.





თ. დოსტოევსკი: არ არსებობს იმაზე მაღალი იდეა, როგორიცაა საკუთარი თავის გაწირვა შენი ძმებისა და სამშობლოს დასაცავად, ან უბრალოდ, შენი სამშობლოს ინტერესების დასაცავად.

რ. ერისთავი:
სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა
ორივ ტკბილია ძმობილო,
მირჩევნის ორსავ თვალზედა.

ს. კეოსკელი: ადამიანის სრული ბედნიერებისათვის აუცილებელია სახელოვანი სამშობლო.

პეტიტსენი: რაც არ უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატრონსან გულში მაინც ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს მას.

ნაპოლეონი I: უპირველესი სათნოება — მამულისათვის თავდადებაა.

ა. რადიშჩევი: ...ჭეშმარიტი ადამიანი და ნამდვილი მამულიშვილი ერთი და იგივეა...

ვაჟა-ფშაველა:
სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

ი. ჭავჭავაძე: შენს მამულ-დედულს გაუფრთხილდი და ისიც შენ გაგიფრთხილდება.

ვ. ჰიუგო: სამშობლოსათვის მიყენებული ჭრილობა თვითეულ ჩვენგანს გულის სიღრმეში სტკივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მოძრავი ტროტუარი

დრეზდენის ტრანსპორტის ინსტიტუტში შექმნეს მოძრავი ტროტუარი ფეხით მოსიარულეთათვის. იგი ერთ საათში 16.000 კაცს გადაიყვანს. ახალი ტროტუარი, ცხადია, ჩვეულებრივი ქუჩებისათვის არაა გათვალისწინებული. მისი მოწყობა განზრახული აქვთ ხალხმრავალ ადგილებში: რკინიგზის სადგურებთან, აეროდრომებთან, სტადიონებთან.

### ზღვა საჰარაში

საჰარაში — ყველაზე დიდ უდაბნოში — წყალი თურმე რამდენიც გნებავთ, იმდენია. ამას წინათ, ქვიშის ქვეშ, 2800 მეტრის სიღრმეზე, აღმოაჩინეს წყლის აუზი, რომლის ფართობი 900.000 კვ. კილომეტრს აღწევს. სპეციალისტების აზრით ამ აუზიდან დღე-ღამეში 100 მილიონი კუბური მეტრი წყლის ამოქაჩვა შეიძლება; ეს კი საკმარისია იმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადში მთელი უდაბნო ბალახითა და მცენარეულობით დაიფაროს.

### ნიანგს სარგებლობაც მოაქვს

ხანდახან ნიანგიც საჭირო ყოფილა ადამიანისათვის. ერთხელ ფერმერებმა გადაწყვიტეს მთლიანად ამოეწყვიტათ ნიანგები მისისიპის ერთ-ერთ შენაკადში. ეს მტაცებელი ცხოველები თავს ესხმოდნენ წყალზე მისულ საქონელს. ნიანგები მართლაც ამოხოცეს, მაგრამ ფერმერების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. რამდენიმე ხანში მდინარე, თავის შენაკადებიანად, დანაგვიანდა, მდორე გახდა და, სულ მალე, კიდეც დაშრა. თუ რატომ მოხდა ეს, ამაზე ჯერჯერობით ძნელია პასუხის გაცემა. ასეა თუ ისე, ფერმერები იძულებული გახდნენ, კვლავ მოემრავლებინათ ნიანგები ახლო-მახლო წყლებში.

### ვულკანი ბარომეტრი

სამხრეთამერიკელი მწყემსები — გაუჩოები, სანამ თავიანთ ჯოგებს გზას გაუყენებდნენ, ვულკან ლანინის წვერს აკვირდებიან.



ვულკანის კრატერი თუ ბოლავს, ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე საათში დიდი ავდარია მოსალოდნელი. ვულკანი ერთხელაც არ შემცდარა თავის პროგნოზებში. ინდიელები ამ ვულკანს „მაპოუჩეს“ ეძახიან, რაც ნიშნავს „ამინდის წინასწარმეტყველს“.



### ძროხა... ლოგინში

როგორც ცნობილია, ინდოეთში ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება. ასამაში, ღმერთ ბიგუს დღესასწაულის დღეებში, ძროხებს გულმოდგინედ ბანენ და რამდენიმე ღამე მათი პატრონების ლოგინში აწვენენ; ხოლო პატრონები ამ დროს გომურში, სუფთა ჩალაზე წვანან... ტელეგუს არემარეში კი ძროხებს ყვავილებით რთავენ.



## გამოგადგება

თუ მელანი სპეციალურ სამელნეში არ ასხია, რაც არ უნდა ფრთხილად იხმარო, ადრე თუ გვიან სა-



მელნე მაინც წაიქცევა, მელანი მაგიდას, წიგნებს, რვეულებს დათხვრის. ამ „გასაჭირიდან“ თავის დახსნა არაა ძნელი საქმე. აიღე პაპიროსის კოლოფი, სახურავში ბუდე ამოჭერი და შიგ სამელნე ჩადგი.



როცა ბოთლს კორპით თავი არ ეხურება, ძალას ნუ დაატან და ნურც ბოლოს შემოათლი. ეს ამაო შრომაა. ადექი, კორპს ისეთი ამონაჭერი გაუკეთე, როგორიც ნახატზეა და ისე დაახურე.



ტანსაცმლიდან ფოლაქის აჭრა არაა ძნელი საქმე, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა მაკრატელი ქსოვილსაც მოიყოლიებს და გაჭრის ხოლმე.

ფოლაქსა და ქსოვილს შორის დაუტანე სავარცხელი და ნუღარ გეშინია, — ქსოვილი აღარ დაზიანდება.

პარკეტით დაგებულ, ლინოლეუმით დაფარულ ან შეღებილ იატაკზე, პწკალა (პატარა კიბე) ფეხს ვერ იკიდებს და ზედ ასვლა სახიფათოა.

კიბის ფეხები კალოშებში ჩადგი, ამით ორ კურდღელს ერთად დაიჭერ: ჯერ ერთი — კიბე არ გაცურდება, მეორეც — იატაკზე კვალი არ დარჩება.



# ახალი წიგნები



## ბულბული და ცისია

ღვაწლმოსილ მწერალს სანდრო შანშიაშვილს უყურადღებოდ არც ბავშვები დაუტოვებია — მათთვისაც შექმნა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები.

„ბულბული და ცისია“ მწერლის საბავშვო ნაწარმოებთა კრებულია. ავტორი ნორჩ მკითხველებს შთააგონებს, იყვნენ შრომისმოყვარენი, ბეჯითნი სწავლაში, უყვარდეთ სამშობლო, პატივს სცემდნენ მშობლებს, უფროსებს, ამხანაგებს.

ამ კრებულში მკითხველი ბევრისმთქმელსა და საყურადღებო ნაწარმოებებს წაიკითხავს.



## ყველგან — შინ და გარეთ

მწერალ როდიონ ქორქიას სახელი თქვენთვის კარგადაა ცნობილი. ორმოცდაათი წელია. იგი პირნათლად ემსახურება ქართულ საბავშვო ლიტერატურას. რ. ქორქია ჩვენი ჟურნალის აქტიური თანამშრომელია. მისი მოთხრობები ბევრჯერ წაგიკითხავთ „პიონერის“ ფურცლებზე.

რ. ქორქიას ახალი კრებული „ყველგან — შინ და გარეთ“ თემატურად ძალზე მრავალფეროვანია. მასში შეტანილია, როგორც სამოქალაქო და სამამულო ომების თემებზე დაწერილი ნაწარმოებები, ისე ჩვენი ცხოვრების მრავალი საინტერესო მხარის ამსახველი მოთხრობები.

უეჭველად გაგახარებთ კიდევ ერთი, ახალი შეხვედრა თქვენს საყვარელ მწერალთან.



## ჩიკორი

მწერალი დავით სულიაშვილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი ნაწარმოებების მთავარი თემაა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის განვითარება.

ახლახან წიგნის ბაზარზე გამოვიდა დ. სულიაშვილის ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოები „ჩიკორი“. ჩიკორი ახალგაზრდა რევოლუციონერისადმი შერქმეული სახელია. ამ ახალგაზრდის მოუსვენარ, ხიფათითა და მომავლის რწმენით აღსავსე ცხოვრებაზე მოგვითხრობს ავტორი.



## ირმის შვილი

გამომცემლობა „ნაკადულმა“ კარგი საჩუქარი უძღვნა თავის მკითხველებს, — გამოსცა ლამაზად გაფორმებული კრებული „ირმის შვილი“. კრებულში შეტანილია აფხაზური ზღაპრები, თქმულებები, იგავები. აფხაზური ფოლკლორის ბევრი შესანიშნავი ნიმუში.

# სარჩევი

ეროვნული


რ. ქორქია — [illegible] და (მოთხრობები) . . . 1
ე. ხახვაძე — ვ. თოფურიას სახელობის სკოლა (ნარკვევი) . . . . . . . . 3
დ. ივარდავა — ლექსები სამშობლოზე . . . . . . 5
გ. სანადირაძე — ცისფერი ყურე (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . 6
ე. მაჭავარიანი — ხალხური მუსიკა (წერილი) . . 10
ჯელალ ედ-დინ რუმი — იგავები (სპარსულიდან თარგმნა მ. თოდუამ) . . 16
ა. ალექხინი — „შუძ“ (მოთხრობა, დასასრული. თარგმნა ჯ. ნინუამ) . . 16
რევაზ მარგიანი. (დაბადების 50 წლისთავის გამო. წერილი) . . . 23
ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე . . . . . . . 24
ვ. გორგანელი — ჯარისკაცის გარმონი (მოთხრობა) . . . . . . . . 26
ოქროს საწმისი . . 30
ჯადოსნური სარკე . 30
გამოგადგება . . . 31
ახალი წიგნები . . 32
შენი სახელოსნო (გარეკანის) . . . . . . 3


გარეკანის პირველ გვერდზე „შემოდგომა“, ფოტოეტიუდი მ. ზარგარიანისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე გერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჟუანშერ კვარაცხელია სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნის — 5-07-43
განყოფილებების 5-07-43

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 03311 ტირ. 41.200. პირ. ფორ. რაოდ. $4^{1}/_{2}$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 25/X-66 წ. სტამბის შეკვ. 3352. გამომც. შეკვ. 420. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.



# ურჩხული ზეცაში

კონსტრუქტორული მოსაზრებულობა და ხელმარჯვეობა, მხატვრის თვალი და სპორტული ჟინი, — აი, რა დასჭირდება ყველა იმას, ვინც მოისურვებს გააკეთოს ეს საჰაერო ფრანი და ზეცაში შეაცუროს.

აბა დააკვირდით ნახატს! მხატვარმა თითქმის ყველა ის აუცილებელი დეტალი გამოხაზა, რომელიც საჭიროა ასეთი ურჩხულის ასაგებად. განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთი მათგანი მოითხოვს. 1,5 მმ. სისქისა და 254 მმ. დიამეტრის მქონე ბამბუკის რგოლები, მათზე გადაკრული თხელი ქაღალდით, უნდა იყოს რაც შეიძლება მსუბუქი, თანაც უნდა დამზადდეს ზედმიწევნითი სიზუსტისა და წონასწორობის დაცვით (ბამბუკის ღეროებთან ერთად). ბამბუკის ღეროებზე დამაგრებული პაწია ალმები წონასწორობას იცავენ.

ურჩხულის თავი უნდა გამოიჭრას თხელი ფირფიცრისაგან და გამაგრდეს უკანა მხრიდან სამი გარდიგარდმო ძელაკით. შემდეგ კი უკვე გამზადებული თავი, საბუქსირო თოკზე „ალვირით“ გამოებას ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები.

თავდაპირველად ფრანი, ე. ი. ურჩხულის ტანი, 10-12 რგოლისაგან კეთდება, შემდეგ კი ემატება თანდათანობით შემცირებული დიამეტრის მქონე რგოლები მანამ, სანამ ურჩხულის სხეული სასურველ სიგრძეს არ მიაღწევს.

ფრანის შეუფერხებელ აფრენას ხელს უწყობს არა მარტო სიზუსტის დაცვა, მისი ერთ-ერთი ხელშემწყობია აგრეთვე საბუქსირო თოკსახვევი კოჭის ხარისხიც. თოკსახვევი კოჭის ტარი უნდა გამოიჭრას სქელი ფირფიცრისაგან ან თხელი ფიცრისაგან. ტარის ორკაპზე ორი პაწია თუნუქის ნაჭრით მაგრდება ტარიანი ფოლადის ღერძი. ღერძზე ბრუნავს თხელი ფანერის ცილინდრის ფორმის დოლურა, რომელზეც ეხვევა საბუქსირო თოკი. კოჭის ერთ-ერთ მხარეს დამაგრებული ორი სამუხრუჭო შვერილი საბუქსირო თოკის სწრაფად გაჩერებისათვისაა გამიზნული.

საკმარისია ავუშვათ მუხრუჭი, რომელიც მზადდება თითბერის ან სხვა შესაფერი ლითონისაგან და მაგრდება ტარზე ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები, რომ ზამბარა სწრაფად მოზიდავს მას და მიაბჯენს კოჭს. საბუქსირო ორკაპის ტარის ზომა დამოკიდებულია თვით საბუქსირო თოკის სიგრძეზე.

ეს არის და ეს. ასე მზადდება ურჩხული — ფრანი.














# იჩქარე!

გამოიწერე

გამოიწერე

## დროზე

# 1967

## ჟურნალი

# პიონერი

სასურველია ჟურნალი გამოიწეროთ მთელი წლით

გამოვა 12 ნომერი

თორმეტი ნომრის ღირებულება 1 მანეთი და 40 კაპიკი